პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 238 (18480) კვირა, 17 ოქტომბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

პარტიის ძალაა ხალხთან ერთიანობა!

ხალხის ძალაა პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობა!

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 65-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 65-ე წლისთავს!

2. დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ ინტერნაციონალურ მოძღვრებას!

4. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

პარტიის ძალაა ხალხთან ერთიანობა!

ხალხის ძალაა პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობა!

5. გაუმარჯოს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს — ყველა საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური ერთიანობის, მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულს!

საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! სახელოვან იუბილეს შევხვდეთ ახალი წარმატებებით შრომაში, სწავლაში, შემოქმედებაში!

6. კომუნისტებო! იყავით სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

7. საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! ისწავლეთ იცხოვროთ, იმუშაოთ და იბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად!

ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას!

8. დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, მშვიდობისათვის თანამიმდევრულ მებრძოლს!

9. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მაღლა ატარეთ 1982 წლის გეგმის, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

დაე, უფრო გაძლიერდეს, გამდიდრდეს და გალამაზდეს ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლო!

10. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ იბრძოლეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის!

სასურსათო პროგრამის რეალიზაცია საყოველთაო-სახალხო საქმეა!

11. გაუმარჯოს საბჭოეთის მუშათა კლასს!

12. გაუმარჯოს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას!

13. გაუმარჯოს საბჭოთა სახალხო ინტელიგენციას!

14. გაუმარჯოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევ კავშირს!

15. გაუმარჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციას! გაუმარჯოს სოციალისტურ დემოკრატიას!

16. გაუმარჯოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებს!

საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სახელმწიფოს და საზოგადოების საქმეთა მართვაში!

17. გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — მართვის სკოლას, მეურნეობრიობის სკოლას, კომუნიზმის სკოლას!

18. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

19. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

დიდება დედას!

მშვიდობა და ბედნიერება მთელი მსოფლიოს ბავშვებს!

20. საბჭოთა მეომრებო! სრულყავით საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება!

ფხიზლად და საიმედოდ დაიცავით საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, სოციალიზმის დიადი მონაპოვრები!

გაუმარჯოს სსრ კავშირის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

21. დიდება ბოლშევიკ ლენინელებს, ოქტომბრის გმირებს, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ყველა უშიშარ მებრძოლს!

22. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დააჩქარეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი!

ინტენსიურად განავითარეთ ეკონომიკა!

23. საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში!

ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს!

24. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! თითოეულ შრომით კოლექტივში შექმენით შემოქმედების, ამხანაგური ურთიერთდახმარების, ხუთწლედის შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის ვითარება!

განამტკიცეთ შეგნებული კომუნისტური დისციპლინა!

25. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დანერგეთ მოწინავე გამოცდილება, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმები!

დიდება წითელდროშოვან კოლექტივებს, ხუთწლედის გვარდიელებს!

26. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აამაღლეთ შრომის ნაყოფიერება, ეფექტიანობა და ხარისხი ყოველ სამუშაო ადგილზე!

დამკვრელური მუშაობა ჩვენი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალია!

27. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დააჩქარეთ ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალების განვითარება!

დიდება ბაიკალ-ამურის მაგისტრალის გმირ მშენებლებს!

28. სათბობის და ენერგეტიკული მრეწველობის მუშაკებო! სამშობლო თქვენგან მოელის მეტ ნავთობს, გაზს, ქვანახშირს, ელექტროენერგიას!

29. საბჭოთა მეტალურგებო! სრულყავით წარმოების ტექნოლოგია!

აამაღლეთ ხარისხი, გაზარდეთ ეკონომიური ლითონპროდუქციის გამოშვება!

30. მანქანათმშენებლებო! შექმენით დიდმწარმოებლური, ეკონომიკური და საიმედო მანქანები, ხელსაწყოები, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებანი!

დააჩქარეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური განახლება!

31. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! უფრო სრულად უზრუნველყავით სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება ქიმიურ პროდუქტებსა და მასალებზე!

32. გაზის მაგისტრალების მშენებლებო, გაზის მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ ახალი გაზსადენების ვადამდე ამოქმედებისა და მათი სიმძლავრეების უფრო სწრაფი ათვისებისათვის!

33. მრეწველობის მუშაკებო! გააფართოეთ მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის წარმოება, გააუმჯობესეთ მისი ხარისხი!

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას, მომსახურების სფეროს — ყოველდღიური ყურადღება!

34. მშენებლებო და მემონტაჟეებო! აამაღლეთ კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობა!

აშენეთ სწრაფად, ხარისხიანად, თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე!

35. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებო! საიმედოდ უზრუნველყავით სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი!

აამაღლეთ საბჭოთა ადამიანების მომსახურების კულტურა!

36. აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებო! დააჩქარეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია!

საიმედოდ უზრუნველყავით ქვეყანა სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით!

დააჩქარეთ არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდაქმნის ტემპი!

37. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! გაზარდეთ მარცვლეულის წარმოება! უფრო აქტიურად დანერგეთ მიწათმოქმედების პროგრესული სისტემა!

ყაირათიანად გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, სასუქები, შრომითი და ფინანსური რესურსები!

ყურადღება და ზრუნვა — მომავალ მოსავალს!

38. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებო! განამტკიცეთ მეცხოველეობის საკვები ბაზა, ყოველნაირად აამაღლეთ მისი პროდუქტიულობა!

იბრძოლეთ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოების გადიდებისათვის!

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია!

39. სოფლის მეურნეობის, დამამზადებელი, სატრანსპორტო, გადამმუშავებელი და სავაჭრო საწარმოების მუშაკებო! ნუ დაუშვებთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგებს!

შევინარჩუნოთ და ხალხის საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ მთელი ჭირნახული!

40. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშაკებო! ყოველნაირად დააჩქარეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური განახლება!

სოფლის მეურნეობას — დიდმწარმოებლური და საიმედო ტექნიკა!

41. მრეწველობის კვების დარგების მუშაკებო! გაზარდეთ მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტების წარმოება!

42. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების მუშაკებო! აამაღლეთ შრომის ხარისხი და კულტურა, უფრო სრულად დააკმაყოფილეთ მოსახლეობის მოთხოვნა!

43. საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! ყაირათიანად მოეკიდეთ საზოგადოებრივ დოვლათს! ამრავლეთ სოციალისტური საკუთრება!

რაციონალურად გამოიყენეთ ქვეყნის სიმდიდრენი! გაუფრთხილდით მშობლიურ ბუნებას!

44. სახალხო მეურნეობის სპეციალისტებო! გამომგონებლებო და რაციონალიზატორებო! სრულყავით ტექნიკა, ტექნოლოგია, წარმოების მართვა!

45. საბჭოთა მეცნიერებო! აამაღლეთ კვლევის ეფექტიანობა! დაე, მტკიცდებოდეს მეცნიერებისა და წარმოების კავშირი!

დიდება საბჭოთა მეცნიერებას!

46. სახელმწიფო აპარატის მუშაკებო! სრულყავით მუშაობის სტილი! გულისხმიერად მოეკიდეთ საბჭოთა ადამიანების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს!

47. სახალხო კონტროლიორებო! გააძლიერეთ კონტროლი წარმოებაში, ადამიანთა ყოველდღიურ საჭიროებებთან დაკავშირებულ სფეროებში!

ენერგიულად იბრძოლეთ დისციპლინის განმტკიცებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის!

48. იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებო! მტკიცედ, მგზნებარედ შეიტანეთ პარტიის იდეები მასებში!

კომუნისტური იდეურობა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია — თითოეულ საბჭოთა ადამიანს!

(დასასრული მე-2 გვ.).

# საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობისა და სტამბის მუშაკებს და გულითადად ულოცავს კოლექტივს ღირსშესანიშნავ მოვლენას — გამომცემლობის სტამბის დაჯილდოებას შრომის წითელი დროშის ორდენით.

თავისი არსებობის ექვსი ათწლეულის მანძილზე გამომცემლობამ გამოიარა დიდი და სახელოვანი გზა — გახდა პოლიგრაფიული მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი, ხოლო გამოშვებული პროდუქციის, ბევრი სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლის მიხედვით წამყვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის პარტიული ორგანოების გამომცემლობათა შორის.

განსაკუთრებით დიდი როლი მიუძღვის გამომცემლობას პოლიტიკური წიგნის ბეჭდვის საქმეში. აქ პირველად გამოიცა ქართულ ენაზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მრავალი ნაწარმოები, გამოვიდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“ და სხვა შრომები. გამომცემლობის ბეჭდვითი პროდუქციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ლიტერატურას, რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას, საქართველოს კომპარტიის ორგანიზატორულსა და პოლიტიკურ საქმიანობას სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

სულ უფრო მეტად ფართოვდება გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი. ამჟამად გამომცემლობის სტამბაში იბეჭდება 31 დასახელების გაზეთი და 46 ჟურნალი, საცნობარო ლიტერატურა, პოლიტიკური პლაკატები, სხვადასხვაგვარი დანიშნულების ფართო მოხმარების საქონელი. მოწინავე ტექნიკის დანერგვის, ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვის პროგრესულ ოფსეტურ მეთოდზე გადასვლის მეოხებით გამომცემლობამ ამ ბოლო წლებში მიაღწია წარმოების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას, სულ უფრო მეტად მაღლდება ჟურნალ-გაზეთების, სხვა ბეჭდვითი პროდუქციის პოლიგრაფიული და მხატვრული დონე.

ახალი საგაზეთო კორპუსის ამოქმედებამ ხელი შეუწყო პროდუქციის ხარისხის საგრძნობ გაუმჯობესებას, რის შედეგადაც სტამბის კოლექტივს არაერთგზის მოუპოვებია გამარჯვება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, საპატიო უფლება-მონაწილეობა მიეღო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში.

გამომცემლობის შესაძლებლობანი და ტექნიკური პოტენციალი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ამ ბოლო ათწლეულში, რომელიც საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის გახდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პრაქტიკული ხორცშესხმისათვის დაძაბული და უკომპრომისო ბრძოლის წლები. მთელი ეს წლები თქვენი კოლექტივი დროულად და აქტიურად ეხმაურებოდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ყველა დიდმნიშვნელოვან ძვრებს, შეჰქონდა თავისი წვლილი ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების გაჯანსაღების პროცესში.

ეს ტრადიციები კვლავაც ყოველნაირად უნდა გავაფართოოთ და განვავითაროთ. საჭიროა, პარტიის თანამედროვე მოთხოვნების სულისკვეთებით კვლავაც სრულვყოთ და დავხვეწოთ ჟურნალ-გაზეთების გამოშვების, პოლიტიკური ლიტერატურის ბეჭდვის პროცესი. გამომცემლობის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს მუშაკთა საქმიანი კვალიფიკაციის განუხრელი ამაღლება, სოციალისტური შეჯიბრების გაშლა საწარმოო რეზერვების სრული გამოვლენისა და მაქსიმალური ამოქმედებისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართო დანერგვა და წარმოების რაციონალიზატორთა შემოქმედებითი საქმიანობის აქტიური წახალისება, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემასთან მჭიდრო კონტაქტების განმტკიცება ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების მიზნით. კვლავაც უნდა დაეთმოს მეტი ყურადღება მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას, აღმზრდელობითი საქმიანობის შედეგებისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას. ყოველივე ეს მით უფრო საჭიროა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, მისი დიდი კოლექტივი მოწოდებული არიან კომუნისტური შრომის კოლექტივის მაგალითს წარმოადგენდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ერთხელ კიდევ გულითადად ულოცავს გამომცემლობისა და სტამბის ყველა მუშაკს სამშობლოს მაღალ ჯილდოს, გისურვებთ თქვენ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას, გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მთელ თქვენს ცოდნას, უნარსა და გამოცდილებას კვლავაც კიდევ უფრო სრულად მოახმართ რესპუბლიკის პოლიგრაფიის განვითარების საქმეს, ყველაფერს იღონებთ ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებული განხორციელებისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: მოწვეულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია 1982 წლის 16 ნოემბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 15 ოქტომბერი.

# ვიზიტი დამთავრდა

**მინსკი,** 16 ოქტომბერი. (საკ-დესი). დღეს საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს და ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარე მენგისტუ ჰაილე მარიამი. იგი ჩვენს ქვეყანაში სამუშაო მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

აეროდრომზე სტუმარი გააცილეს ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ე. პოლიაკოვმა, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა.

# პარტიული კომისიების გადაუდებელი ამოცანები

ახალ მოთხოვნათა შესაბამისად საკონტროლო მუშაობის შემდგომ სრულყოფაში რესპუბლიკის პარტიული ორგანოების პარტიულ კომისიათა ამოცანები განიხილეს 15 ოქტომბერს თბილისში გამართულ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული პარტიული კომისიების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარზე.

თათბირ-სემინარის გახსნისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა თქვა, რომ ახლა, როცა საძირკველი ეყრება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, შესრულების კონტროლისა და შემოწმების გაუმჯობესების, კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული კომისიების მუშაობის ყოველნაირ სრულყოფას სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებული რჩევა-დარიგებებისა და მითითებების შესაბამისად.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარემ შ. ვ. ყარყარაშვილმა.

სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის გაწეული მუშაობა შეკრებილთა გააცნო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ ო. გ. ვარძელაშვილმა.

რესპუბლიკაში შექმნილი ოპერატიული ვითარების, დატაცებების, წამატებების, თვალის ახვევის, უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის ანალიზს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ პროკურორმა ა. მ. ბარაბაძემ. სახალხო კონტროლისა და პარტიული კომისიების ადგილობრივი კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების ერთობლივი მუშაობის პრაქტიკის შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. ე. მარგალიტაძემ.

თათბირზე გამოსულმა რესპუბლიკის პარტიული ორგანოების პარტიულ კომისიათა თავმჯდომარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. კრიტიკულად გაანალიზეს რა თავიანთი კომისიების საქმიანობა, მათ ილაპარაკეს დღეს მათ წინაშე მდგომ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებზე, გამოთქვეს კონკრეტული, საიმისოდ გამიზნული წინადადებები, რომ პარტიული კომისიები გახდნენ პარტიული კომიტეტების ნამდვილი თანაშემწეები პარტიული რიგების სიწმინდისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, საკონტროლო მუშაობის შემდგომი სრულყოფის, ყველა კომუნისტის მიერ პარტიის საწესდებო მოთხოვნების დაცვისათვის ბრძოლაში.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის წევრი ვ. მ. პერეუდინი.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა გ. ვ. კოლბინმა.

გაიმართა სასემინარო მეცადინეობანი. (საქინფორმი).

# ჩვენი თანამედროვე — დავით კლდიაშვილი

**გულისამაჩუყებელი** და სათუთია იმერეთის მშრომელთა სიყვარული თავიანთი დიდი თანამემამულის — დავით კლდიაშვილისადმი. ეს მან, ჰუმანისტმა და გულთმისანმა კაცმა მიიტანა ასე ახლოს გულთან წარსულში ულარიბესი თავისი მშობლიური მხარის მძიმე ბედი და უდიდესი დამაჯერებლობით, მხატვრული ძალით აღწერა თავის უკვდავ ნაწარმოებებში ყოველივე ნანახი და განცდილი.

დავით კლდიაშვილის გმირები შორეულ წარსულში დარჩნენ. სოლომონ მორბელაძის, პორფილე ბიაშვილის, პლატონ სამანიშვილის, ბესარიონ ქამუშაძისა და მწერლის თხზულებათა სხვა გმირების პრობლემები აღარ აღელვებს ამ არემარის დღევანდელ მცხოვრებთ.

მაშ რა პრობლემები აღელვებს დღეს რაიონის მშრომელებს?

საქართველოს მხატვართა მეათე ყრილობაზე გამოსვლისას პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ანზორ ბურჯანაძემ თქვა:

— ჩვენ გვჭირდება მხატვრების, კომპოზიტორების ყურადღება, გვჭირდება შემოქმედნი, რომლებიც სულიერად გაამდიდრებენ იმ ადამიანებს, მატერიალურ ფასეულობებს რომ ქმნიან სოფლად.

და ამის შესახებ კვლავ ჩამოვარდა ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომში, სადაც მივიდნენ რაიონში დ. კლდიაშვილის დაბადების 120 წლისთავის პატივსაცემ საიუბილეო ზეიმზე დასასწრებლად ჩასული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

შთამბეჭდავი წარმატებებია მოპოვებული რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. თუ ათი წლის წინათ ეს რაიონი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო იყო, დღეს აქ სამრეწველო საწარმოები აღიმართა. მარტო სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის წელს აქაური მრეწველობა 60 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.

განახლდა თერჯოლის რაიონის ცენტრი, აშენდა ათობით ადმინისტრაციული შენობა, საცხოვრებელი სახლი, სურათების გალერეა. ქორწინების სახლი, კინოთეატრი „სიხარული“, ახალგაზრდული ქალაქი „საპოვნელა“. შენდება 500 მაყურებლისათვის გათვალისწინებული ახალი კინოთეატრი, საჭადრაკო კლუბი, ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის სახლი, ქალაქ „საპოვნელასთან“ დამაკავშირებელი გზა. მთავრდება სპორტის სასახლის მშენებლობა.

საინტერესო შეხვედრა გაიმართა დავით კლდიაშვილის ვაჟთან, ცნობილ ქართველ მწერალთან სერგო კლდიაშვილთან ქალაქ „საპოვნელაში“. ს. კლდიაშვილმა ილაპარაკა მამის ცხოვრებაზე და ახალგაზრდებს მოუწოდა იყვნენ ისეთივე ინტერნაციონალისტები, როგორიც დ. კლდიაშვილი იყო, მასავით მხურვალედ უყვარდეთ სამშობლო და თავდადებით ემსახურონ მშობელ ერს.

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარდა ღია გაკვეთილები „დავით კლდიაშვილი და თანამედროვეობა“. ამ გაკვეთილებს ბავშვები სამუდამოდ დაიხსომებენ. ისინი ხომ არა მარტო პირველად შეხვდნენ რესპუბლიკის ბევრ წარჩინებულ ადამიანს, თავიანთ საყვარელ პოეტებსა და

(დასასრული მე-2 გვ.)

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

(დასასრული)

49. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს შესაფერი ნაწარმოებები!

მაღლა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების იდეურობის, პარტიულობისა და ხალხურობის დროშა!

50. სახალხო განათლების მუშაკებო! აამაღლეთ მოზარდი თაობის სწავლების, პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ხარისხი!

51. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მუშაკებო! ამზადეთ იდეურად გამოწრთობილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები! განავითარეთ მეცნიერება, განამტკიცეთ კავშირი წარმოებასთან!

52. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებო! დღენიადაგ იზრუნეთ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის! ყოველმხრივ გააუმჯობესეთ სამედიცინო მომსახურება!

53. ავამაღლოთ ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობა!

ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო! ამრავლეთ საბჭოთა სპორტის დიდება!

54. სახელოვანო ვეტერანებო! ახალგაზრდობის დამრიგებლებო! აღზარდეთ ახალგაზრდობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით!

55. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, კულტურას, პროფესიულ ოსტატობას!

იყავით ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის შეგნებული მებრძოლები!

56. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას!

განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის 80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამა!

57. ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს! პატივი და დიდება კომუნისტებს — სახალხო საქმისათვის მამაც მებრძოლებს!

58. დაე, მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება.

გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს — საერთაშორისო მუშათა კლასის ნაცად და მძლავრ იარაღს!

59. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

60. დაე, მტკიცდებოდეს მსოფლიო სოციალიზმის, საერთაშორისო პროლეტარიატისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უძლეველი კავშირი!

61. ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს!

გაუმარჯოს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობას, თანამშრომლობასა და შეკავშირებას, მათს უდრეკ გადაწყვეტილებას განამტკიცონ და დაიცვან სოციალიზმის მონაპოვრები!

62. ძმური სალამი გმირ კუბელ ხალხს, რომელიც მტკიცე წინააღმდეგობას უწევს ამერიკის იმპერიალიზმის ხრიკებს!

63. ძმური სალამი გმირ ვიეტნამელ ხალხს!

64. ძმური სალამი მამაც ლაოსელ ხალხს!

65. ძმური სალამი მამაც კამპუჩიელ ხალხს!

66. ძმური სალამი ავღანელ ხალხს, რომელიც მტკიცედ იცავს აპრილის რევოლუციის მონაპოვრებს!

67. ძმური სალამი ეთიოპ ხალხს, რომელიც სოციალისტურ გარდაქმნათა გზას დაადგა!

68. ძმური სალამი ანგოლის, მოზამბიკისა და აფრიკის სხვა ქვეყნების ხალხებს, რომლებმაც სოციალისტური განვითარების გზა აირჩიეს.

69. ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს!

დიდება მონოპოლიათა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მშრომელთა უფლებებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისათვის მებრძოლებს!

70. ძმური სალამი კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხებს, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის განმტკიცებისათვის მებრძოლებს!

71. მხურვალე სალამი იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ აფრიკელ ხალხებს!

72. მხურვალე სალამი იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების დემოკრატიული განვითარებისათვის მებრძოლ ლათინური ამერიკის ხალხებს

73. მხურვალე სალამი ნიკარაგუის გმირ ხალხს, რომელიც ვაჟკაცურად იბრძვის სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ!

74. მხურვალე სალამი სალვადორელ პატრიოტებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან რეაქციის სისხლიანი ტერორისა და იმპერიალისტური ჩარევის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის!

75. ძმური სალამი ჩილელ მშრომელებს, ყველა დემოკრატს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან ფაშისტური ხუნტის წინააღმდეგ!

76. ძმური სალამი თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლებს, რომლებიც ფაშისტურ დილეგებში იტანჯებიან!

თავისუფლება იმპერიალიზმისა და რეაქციის ტუსაღებს!

77. არაბული ქვეყნების ხალხებო! შეაკავშირეთ რიგები ისრაელის აგრესიისა და იმპერიალიზმის დიქტატის წინააღმდეგ!

დაე, მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობა!

78. მსოფლიოს ხალხებო! მოითხოვეთ, რომ შეწყდეს ისრაელის აგრესიული მოქმედება არაბი ხალხების წინააღმდეგ! სირცხვილი ისრაელ აგრესორებსა და მათს მფარველებს!

პალესტინის ხალხის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს!

ახლო აღმოსავლეთს — მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა!

79. ევროპის ქვეყნების ხალხებო! გადაჭრით გაილაშქრეთ დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების წინააღმდეგ!

ევროპას — მშვიდობა, უშიშროება და თანამშრომლობა!

80. აზიის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და უშიშროებისათვის!

დაე, აზია, ნდობისა და თანამშრომლობის კონტინენტი გახდეს!

81. მხურვალე სალამი დიდ ინდოელ ხალხს!

დაე, ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა და თანამშრომლობა!

82. მსოფლიოს ხალხებო! იყავით ფხიზლად! საკადრისი პასუხი გაეცით იმპერიალიზმის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის აგრესიულ ხრიკებს!

ავლაგმოთ გამალებული შეიარაღება, დავიცვათ და გავაღრმაოთ დაძაბულობის შენელება, აღმოვფხვრათ ომის საფრთხე!

83. მშვიდობის მომხრენო! ამრავლეთ მეცადინეობა უდიდესი უფლებისათვის — სიცოცხლის უფლებისათვის წმიდათაწმიდა ბრძოლაში!

მოითხოვეთ ბირთვული, ნეიტრონული და ქიმიური იარაღის აკრძალვა!

არ დაუშვათ ბირთვული ომი!

მშვიდობა — მსოფლიოს!

84. გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

85. ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

## რუსთაველლები დაკარგულს აინაზღაურებენ

**მიმდინარე** წლის 9 თვის მუშაობის შედეგები და მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ამოცანები განიხილეს სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროს საკავშირო გაერთიანება „საკაზოტის" საწარმოთა დირექტორების საბჭოს თათბირზე, რომელიც რუსთავის ქიმიურ ქარხანაში გაიმართა.

მოხსენებებით გამოვიდნენ საკავშირო გაერთიანება „აზოტის" უფროსი ვ. მ. პანჩენკოვი, „აზოტის" საწარმოო გაერთიანებათა დირექტორები: გროდნოდან — ვ. ა. ივანოვი, კუიბიშევიდან — ი. ა. კრასიუკი, სევეროდონეცკიდან — ბ. ნ. ლეშჩინა, ნოვომოსკოვსკიდან — ა. ა. ზუევი, როვნოდან — ბ. ნ. ბრეზგინი და სხვები.

თათბირზე განიხილეს აგრეთვე „საკაზოტის" საწარმოებში შრომითი რესურსების გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის აქტუალური პრობლემები.

აღინიშნა, რომ, გარკვეული წარმატებების მიუხედავად, „საკაზოტის" საწარმოთა მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. დასახულ ვადებში ვერ ითვისებენ ახლად ამოქმედებულ სიმძლავრეებს, მთლიანად ვერ სრულდება სოფლის მეურნეობის მშრომელებისათვის მინერალური სასუქების მიწოდების გეგმები. აღინიშნა რუსთავის ქიმიური ქარხნის ჩამორჩენა. ბოლო წლებში ამ საწარმოში ახალი საწარმოო სიმძლავრენი ამოქმედდა, რამაც კოლექტივის დიდი შრომა მოითხოვა. ახლადმშენებარე ობიექტების პროექტებში არსებულ ნაკლოვანებათა შედეგად შეფერხდა მათი დროული ჩაყენება მწყობრში. დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა ქართველ კოლეგებს ქმედითი დახმარება გაუწიოს. სამინისტროს მთელმა რიგმა საწარმოებმა იკისრეს შეფობა რუსთავის ქიმიური ქარხნის საამქროებისადმი. გამოითქვა რწმენა, რომ კოლექტივის გარჯა და მისადმი ძმური დახმარება საწარმოს უკვე 1983 წლისათვის დააძლევინებს ჩამორჩენას.

დირექტორთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს საკავშირო გაერთიანება „საკაზოტის" საწარმოთა წინაშე მიმდინარე წელს მდგომი ამოცანების წარმატებულ რეალიზაციას.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა და სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების მინისტრმა ა. გ. პეტრიშჩევმა. (საქინფორმი).

## ჩვენი თანამედროვე — დავით კლდიაშვილი

(დასასრული)

მწერლებს, არამედ გახდნენ უშუალო მონაწილენიც უაღრესად დაინტერესებული საუბრისა საბჭოთა საქართველოს დღევანდელი და ხვალინდელი დღის შესახებ, თავისი დიდი საბჭოთა სამშობლოს წინაშე მოზარდი თაობის ინტერნაციონალური და პატრიოტული მოვალეობის შესახებ. ბავშვები აღტაცებულ მზერას არ აშორებდნენ ირაკლი აბაშიძეს, რომელიც თერჯოლის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებს ესაუბრებოდა. პოეტმა ყმაწვილებს თავისი ახალი ლექსები წაუკითხა.

საქმიანად, აქტიურად მიმდინარეობდა მეცადინეობა გაკვეთილებზე, რომლებსაც ატარებდნენ სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ აბაშიძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი დ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. ციციშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბერიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, კრიტიკოსი ს. ჭილაია, მწერლები რ. მიშველაძე, ლ. სანიკიძე, პოეტი ფ. ხალვაში, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ე. გუგუშვილი და სხვები.

დავით კლდიაშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის ცენტრალური მოვლენა მწერლის სამშობლოში გახდა თერჯოლის კინოთეატრ „სიხარულში" გამართული საიუბილეო საღამო.

საღამოს გახსნისას რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა მწერალმა გრიგოლ აბაშიძემ თქვა:

— დღეს რესპუბლიკის ამ თვალწარმტაც კუთხეში ჩვენ დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ვიხსენებთ უკვდავ ქართველ მამულიშვილს — დავით კლდიაშვილს. აქ დაიბადა ადამიანი, რომელმაც მომავალში საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ამ კუთხეს, მის მკვიდრთ, განაგრძო ქართული პროზის სახელოვანი ტრადიციები.

ახლანდელი ზეიმი, მემორიალური ძეგლის, დავით კლდიაშვილის რეკონსტრუირებული სახლ-მუზეუმის გახსნა ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ როგორ აფასებს თავის გამოჩენილ შვილს მთელი საქართველო, (რაოდენ დიდია შთამომავალთა მადლიერება, ბრწყინვალე მწერალმა, მახვილგონიერმა იუმორისტმა და სატირიკოსმა დავით კლდიაშვილმა უმოწყალოდ გაკიცხა განწირული კლასი — აზნაურობა, შექმნა მისი თანამედროვე საზოგადოების ვრცელი პანორამა, გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა ნაწარმოებებით, რომლებიც დღესაც აღელვებს თანამედროვეებს, აიძულებს მათ ჩაუფიქრდნენ ცხოვრების აზრს.

რა ბედნიერი იქნებოდა დავით კლდიაშვილი, დღევანდელი ზეიმი რომ ენახა. როგორ გაახარებდა თავისი სამშობლოს რუკაზე პატარა, ულამაზესი, საოცნებო ქალაქის „საპოვნელას" ნახვა, იმის გაგება, თუ რამდენი სკოლა, კულტურის კერა აშენდა რაიონში, რა წელგამართულად ცხოვრობენ მისი თანამემამულენი, როგორ გაიზარდა მათი სულიერი მოთხოვნილებანი.

დავით კლდიაშვილის შემოქმედების შესახებ საღამოზე მოხსენება გააკეთა კრიტიკოსმა სერგი ჭილაიამ. მან ილაპარაკა მწერლის ცხოვრების გზაზე და ხაზგასმით აღინიშნა, რომ დავით კლდიაშვილის შემოქმედება განმსჭვალულია ადამიანების სიყვარულით, მათთვის თვალის ახელის სურვილით, ბოროტებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ მათი დარაზმვის მისწრაფებით.

დავით კლდიაშვილის შემოქმედების წარუვალი მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ციციშვილმა, პოეტებმა ფ. ხალვაშმა, მ. ჯოხაძემ, მწერალმა ლ. სანიკიძემ, სოფელ ზემო სიმონეთის კოლმეურნემ ა. გოგობერიშვილმა და სხვებმა.

საღამოს დასასრულს გაიმართა რაიონის მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე. (საქინფორმი).

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

**ტალაქიშვილი** შოთა ალექსანდრეს ძე — მბეჭდავი, **ელერდაშვილი** გივი სიკოს ძე — მბეჭდავი-ბრიგადირი, **ელიზბარაშვილი** ნინო ნიკოლოზის ასული — პარტიული კომიტეტის მდივანი, **ინწკირველი** თამაზ ნიკიტას ძე — პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, **მოდებაძე** ლუბოვ ზაქარიას ასული — ლინოტიპისტი, **ხულეიმანოვი** არიფ ორუჯ ოღლი — მბეჭდავი-ბრიგადირი, **ფხუტური** ტუხა ილიას ძე — ოსტატი, **ქურდოვანიძე** ნოდარ გიორგის ძე — გარაჟის გამგე, **შერაზადაშვილი** გერმანე ვასილის ძე — მანქანა-დანადგარების უფროსი ინჟინერი, **შიოშვილი** ნინო დომენტის ასული — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, **ჩლაიძე** ვლადიმერ თევდორეს ძე — ზეინკალ-გამმართველი, **ციხკარიძე** მიხეილ რობერტის ძე — დირექტორის მოადგილე.

**მიენიჭათ** საპატიო წოდებანი:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერისა"** — **ბერიძეს** თამაზ მიხეილის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ინსტრუქტორს გამომცემლობის დარგში, **გორდულაძეს** გურამ პავლეს ძეს — გამომცემლობის დირექტორს, **ქარაზანიშვილს** ჯემალ პარმენის ძეს — გამომცემლობის მთავარ ინჟინერს, **ხაჭაპურიძეს** ჯუმბერ კირილეს ძეს — გამომცემლობის მთავარი ინჟინრის მოადგილეს, საგაზეთო კორპუსის უფროსს,

**„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკისა"** — **გურგენიძეს** ისაკ ერასტის ძეს — ინჟინერ-დისპეტჩერს, **დონაძეს** პაატა ბენიამინის ძეს — საამქროს უფროსს, **ნათიძეს** სედიკო ბასილის ძეს — საამქროს უფროსს;

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა"** — **აფრიაშვილს** ალექსანდრე გიორგის ძეს — მბეჭდავს, **ბოსიკაშვილს** დავით გიორგის ძეს — უფროს ოსტატს, **დარასელიას** ვლადიმერ იონას ძეს — ამწყობს, **ლობჟანიძეს** თენგიზ მაქსიმეს ძეს — განყოფილების უფროსის მოადგილეს, მთავარ ტექნოლოგს, **მაკალათიას** გივი ნესტორის ძეს — დამკაბადონებელს, **რევაზიშვილს** არჩილ ვასილის ძეს — მბეჭდავს, **ხეირანიანს** გრიგოლ მნაცაკანის ძეს — ოსტატს;

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტისა"** — **ლახაჩენკოს** იური თომას ძეს — გამომცემლობის დირექტორის მოადგილეს.

(საქინფორმი).









**სურათებზე** თქვენ ხედავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მოწინავე მუშაკებს, ათასიანი კოლექტივის სხვა წევრებთან ერთად გარკვეული წვლილი რომ შეიტანეს დღევანდელ დიდ წარმატებაში. **ზემოდან ქვემოთ** — — საამწყობო საამქროს გამოცდილი ლინოტიპისტი რ. ხანთაძე (მარცხნივ) და ამავე საამქროს ახალბედა წევრები ნ. ქემაშვილი და მ. ჩახვაძე (მარჯვენა სურათი); დამკაბადონებელთა ბრიგადა — ს. მელქონიანი, გ. ლოლაძე და ბ. გორგაძე — მუშაობს გაზეთ „კომუნისტის" მორიგ ნომერზე. აქვეა (მარცხნიდან მეორე) საამქროს უფროსი ს. მამალაძე; ქვემო სურათზე კი ხედავთ ცელოფანზე ანაბეჭდების ამომღებებს ი. რუსიტაშვილსა და ლ. დავთიანს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

**ხვალ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბას გადაეცემა მთავრობის ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი**

## ყველას წილხვედრი ჯილდო

**გეგმებისა** და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ეს ცნობა ელვის უსწრაფესად მოედო ყველას. ერთმანეთს ულოცავდნენ ნაჯაფარი ადამიანები, ისინი, ვისი ენერგიული შრომითა და მონდომებით ერთ დროს პატარა საწარმო თანამედროვე პოლიგრაფიულ ცენტრად გადაიქცა.

ბოლო წლებში კოლექტივი ნიადაგ გამარჯვებული გამოდის პარტიულ გამომცემლობათა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, და აი, შედეგიც — სამოცი წლის იუბილეზე დამსახურებული ღირსეული ჯილდოც. ჯილდო, რომელიც ყველას ეკუთვნის, იმათ, ვინც ღირსეულად ატარა პოლიგრაფისტის სახელი, და იმათ, ვინც დღესაც განაგრძობს სახელოვან ტრადიციებს.

### ცოტა რამ ისტორიიდან

**პირველად** გაზეთების „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" მთავარი კანტორები დაარსდა, რომლებიც გამომცემლობის ფუნქციებს ასრულებდნენ. მათს განკარგულებაში იყო საწარმო — სტამბა.

...1935 წლის წესდებით განისაზღვრა მათი ძირითადი ამოცანა — ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემა.

...1956 წელს გამომცემლობა „კომუნისტი" და „ზარია ვოსტოკა" გაერთიანდა და შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

### ამჟამად...

**გამომცემლობა** ბეჭდავს 31 დასახელების გაზეთს (მათ შორის 11 ცენტრალურს) და 46 სახელწოდების ჟურნალს, საცნობარო ლიტერატურას, პოლიტიკურ პლაკატებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ფართო მოხმარების საქონელს.

სტამბაში დაბეჭდილი გაზეთების საერთო წლიური ტირაჟი 735 მილიონი ეგზემპლარია, ხოლო ჟურნალებისა და წიგნებისა — 20 მილიონი. ყოველდღიურად 85-90 ტონა ქაღალდი იხარჯება. 300 სხვადასხვა მომწოდებლისაგან მოდის 5000 დასახელების მასალა. მოქმედებს 549 აგრეგატი, ავტომატიზებული და ნაკადური ხაზი, მანქანა-დანადგარი.

გამომცემლობასა და სტამბაში შრომობს 1000-ზე მეტი კაცი. საგაზეთო კორპუსი მუშაობს შეუსვენებლივ, მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

გამომცემლობის მისამართს ამ რამდენიმე წლის წინათ კიდევ ერთი — ხოშარაულის ქუჩა № 29 მიემატა. სწორედ აქ, ამ ახალ საგაზეთო კორპუსში, ქართველმა პოლიგრაფისტებმა რესპუბლიკაში პირველად გამოუშვეს ოფსეტური წესით დაბეჭდილი გაზეთი.

ამ სიახლემ ბევრი სიკეთე მოიტანა. ამაღლდა პროდუქციის ხარისხი, შემცირდა გაზეთის გამოშვების დრო, გაუმჯობესდა შრომის პირობები.

ოფსეტურმა ბეჭდვამ ახალი შრიფტის შექმნაც განაპირობა. სალინოტიპო აწყობისათვის შექმნილია ქართული ანბანის ოთხი ახალი გარნიტური. ათვისებულია მსხვილკეგლიანი სამანქანო აწყობის ტექნოლოგია. ხელით აწყობისათვის შემუშავებულია და დაინერგა ექვსი შრიფტი.

თუმც მცირე დროა სამი წელი, მაგრამ ამ ხნის მანძილზე საგაზეთო კორპუსი მომძლავრდა, განმტკიცდა და არაერთგზის გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. იგი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეა.

### მდიდარი ტრადიცია

**ქართველები** და რუსები, აზერბაიჯანელები და სომხები, ებრაელები და ქურთები, მრავალი სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც მეგობრულად შრომობენ, თვალისჩინივით უფრთხილდებიან და ამრავლებენ გამომცემლობისა და სტამბის საუკეთესო ტრადიციებს.

საზეიმო დღეებში სიყვარულით იგონებ იმათ, ვინც ამ სამოცი წლის წინათ არ შეუშინდა პირველ სიძნელეებს და ენთუზიაზმით, გამარჯვების წყურვილით შეუდგა საქმეს.

ნ. კვინტრაძე და ს. კაიტანჯიანი, ი. მხატვარი და კ. ლოლაძე, გ. გელაშვილი, გ. ხუციშვილი და გ. ვარდოსანიძე, შ. მანჯავიძე და გ. ალხაზაშვილი, დ. მარტიროსოვი და ა. ფანცულაია, ერასტი და შალვა წიწვიაძეები. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, საქვეყნო საქმისთვის თავდადებულნი მშობლიური კოლექტივის ჩამოყალიბებას და დავაჟკაცების მოწმენი იყვნენ.

გადის წლები, იცვლება თაობები, მაგრამ უცვლელი რჩება ერთსულოვნება და ერთგულება, საქმის სიყვარული.

მხცოვანმა მუშამ და ახალბედამ — ყველამ იცის, რომ ამ დალოცვილ ქვეყანაში გარჯა და ამაგი ფასდება, ამიტომ ამბობს სტამბის მოწინავე მუშა გივი მაკალათია: თითქმის მთელი ცხოვრება აქ გავატარე და თამამად ვამბობ, რომ სტამბა ჩემთვის მეორე კი არა, პირველი ოჯახია.

დიახ, პირველი ოჯახია სტამბა ს. მამალაძისა და ჯ. ხაჭაპურაძისათვის, მ. დონაძისა და ვ. რამიშვილისათვის, გ. ჯაფარიძისა და შ. ტალაქიშვილისათვის, ქ. მახარაძისა და ნ. კუიუმჯიანისათვის.

მათ გზას მიჰყვებიან ახალგაზრდები, იციან, თუ საქმეს უერთგულებ, დაფასებაც არ დაიგვიანებს.

კოლექტივის 39 წევრი შრომაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, 17 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

წარმოების ათი მოწინავე სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოს დეპუტატია.

აქვე შრომობს 15 საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, 4 რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, 3 რესპუბლიკის დამსახურებული მუშაკი, ორი რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

გამომცემლობასა და სტამბაში ბევრი სამარჯვე და მექანიზმი რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების მიერ არის შექმნილი. მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადებების ავტორები არიან რ. ხარატიშვილი, გ. შერაზადიშვილი, ნ. კარიაული, ვ. შულგა, დ. ზარიძე, ვ. თთარაშვილი, რ. დანიელოვი...

### მომავალი

**—ნათელ** და საინტერესო ცხოვრებას ჰპირდება გამომცემლობისა და სტამბის მუშაკებს.

უკვე პროექტდება საგაზეთო-საჟურნალო კომპლექსის მეორე რიგი, რომლის მშენებლობა 1984 წელს დაიწყება.

ხოშარაულზე მხრებს გაშლის ახალი საცხოვრებელი სახლები გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეთათვის.

ცვლილებები იქნება საამწყობო საამქროშიც. ტექნიკური სიახლენი დაინერგება ჟურნალ-გაზეთების რედაქციების საქმიანობაში.

იციან ადამიანებმა, რომლებიც სტამბასა და გამომცემლობაში ათენებენ და აღამებენ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება მათ ბევრს ავალებს და ისინიც მზად არიან ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მ. ანასაშვილი.

## ასოთამწყობს, მბეჭდავსა და ამკინძავს, სტამბის ყოველ მუშაკს!

მორიდებითა და სიყვარულით
ვუძღვნი ამ ლექსს!

რ. ა.

ჩემს გზას და სახელს,
ნდობით და კდემით,
ირგვლივ დაფნა რომ შემოვუშენო,
— ცხოვრება ჩემი,
სიმღერა ჩემი,
არ ივარგებდა მაინც უშენოდ!

— უშენოდ, ვისიც
ხელები გამრჯე
საქმოდ, ხაშველად კვლავ მეგულება!
— მე ვენაცვალე
შენს მოთხვრილ მარჯვენს,
შენს სინდის-ნამუსს და ერთგულებას!

და როცა აწყობ ჩემს ცოდვილ სტრიქონს,
ჩემს ცრემლგარეულ
დარდს და ოცნებას,
უმატებ ძალას,
უმატებ სითბოს,
ძარღვსა და მუშურ პატიოსნებას!

და თუ ოდესმე,
ერთი მარცვალიც
გულს მოგდებია ნათქვამი ჩემი,
— ისევე შენით,
შენ გენაცვალე,
უნდა ვუმღეროთ აწმყოს და მერმისს!

მოვდივარ შენთან,
ვით შემწირველი,
ბეჭში ბედისგან გათხრილ მარგილით,
— შენ ხარ პირველი,
შენ ხარ პირველი,
ჩემი მსაჯული და ქაშნაგირი!

ჩამოსხმულ ტყვიას
აწყობ, უფერებ,
რომ ცოცხალ სიტყვად
იქცეს ქაღალდი,
და ერთგულებით ღამეს უთენებ
მამულიშვილურ ხმას და ღაღადისს!

მომხდურმა ბევრჯერ
დაგვრია ხელი,
ჩაწვა ტაძარი,
წიგნი გათელა...
— ნეტარ არიან საქმენი შენნი!
და თუ ქართველი
რჩება ქართველად,

უწონველია შენი ზვარაკი,
შენი წინაპრის
სულის ნათებამ!
— რაა ეს ლექსი და ლაპარაკი,
თუ არ მადლობა
და თავდადება?!..

შენ შენი წილი
სისხლი და ხორცი
დადებული გაქვს მამულის ფერხთით!
— მე დღეს ვიჩოქებ
და ხელზე გკოცნი
და მონამეა ერი და ღმერთი,

რომ განახლებულ
ქართლის დიდებას
ჩვენც ორთავ-თვალისჩინივით ვუვლით!
და თუ სამშობლოს გაუჭირდება,
ჩიტივით უნდა დავლიოთ სული!

სამშობლო —
— ჩვენი მოძღვართ-მოძღვარი!
ცისკრის ვარსკვლავით
და მზის მამალით,
გილოცავს ამ დღეს წითელ ბორჯღალით,
ხმით ლონიერით,
და ალმავალით!

...ჩემს გზას და სახელს
რა გინდ, რა კდემით,
დაფნა და ვარდი შემოვუშენო,
— ცხოვრება ჩემი,
სიმღერა ჩემი,
ვერ იარსებებს, ვერა, უშენოდ!

რეზო ამაშუკელი.

1982 წლის 16 ოქტომბერი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

# არ მითხრა, არ ვიცნობო...

რომანიდან „ნატვრის თვალი“

## 1.

ამ რომანის პირველი ნაწილი რომ გამოქვეყნდა, ერთმა მკითხველმა მეტად საგულისხმო წერილი მომწერა: „ნუთუ წითელი დათა მარტოდ-მარტო აკეთებდა თავის შავბნელ საქმეებს! დავიჯერო, ერთი თანამძრახველიც არა ჰყავდა, სულის მოზიარე ვინმე, რომ ბეწვის ხიდზე უფრო ადვილად გასულიყო...“.

ჰყავდა, რა თქმა უნდა ჰყავდა. დიდი ბოროტება მარტო არასდროს არ დადის. იგი მუდამ ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ძეხორციელი ჩაიხვიოს თავის მორევში, მაგრამ ახლა ისე მოხდა, რომ წითელი დათას ძმაკაცი მერაბ ზარიძე აქამდე როგორღაც მკვიდრად ვერ დავასახლე რომანის ფურცლებზე. მხოლოდ პირველ ნაწილში ლანდად გამოვაჩინე იგი და მაშინვე თვალს მიეფარა. მეგონა, უკვე დავაგვიანე და მეტად საჭირო გმირი სამუდამოდ დავკარგე მეთქი, მაგრამ რაღაც ბედად ერთი ძველი გამონათქვამი გამახსენდა: მწერალი მამალმერთივით არის, — თავის გაჩენილ ადამიანს სადაც უნდა, იქ წაიყვანს და როცა უნდა, მაშინ დაასახლებსო...

თუ ეგ მართლა ასეა, მაშინ ამ შეცდომას ახლავე გამოვასწორებ.

ჩემი ცხოვრების გზაზე არაერთხელ მინახავს ისეთი ოჯახი, სადაც მშობლები თავიანთ შვილებს არათანაბრად უნაწილებდნენ სიყვარულს. სამი-ოთხი შვილის მამა ზოგჯერ, რაღაც იდუმალი ნიშნის გამო, ერთ რომელიმე შვილს გამოარჩევდა, გული იმ ერთთან ჩამოუხტებოდა, და მერე თავადაც ვერ ხედავდა, საყვარელ შვილს ეშმაკის კვალზე ისე შეაყენებდა.

არც თვალ-ტანად, არც პირისახის იერფერით მერაბ ზარიძე მამას არა ჰგავდა. მამას ისეთი შავი თავ-კისერი ჰქონდა, მეკალოე გლეხი გეგონებოდა.

დიდი, ხარბი ლაშები.

თვალების ფოსოებში — ორი პატარა ჭრელი ღილი, ისეთი ჭრელი და მოუსვენარი, მათი დანახვა აღარ გინდოდა.

თანაც კოჭლაბალი კაცი იყო. სანამ სკამზე იჯდა, მოჭიდავეს ჰგავდა. კარგად გაშლილი მხარ-ბეჭი, ურმის ღერძივით მაგარი კისერი, ბარისოდენა ხელისგულები. მაგრამ ზეზე რომ წამოდგებოდა, ორი მტკაველი სიმაღლე არ მოემატებოდა. ძალიან მოკლე ფეხები ჰქონდა. თანაც ქვედა ნასხმანი ცოტა გვერდზე მოქცეოდა, თითქოს ტანის სიმძიმეს ვეღარ გაუძლესო. მერაბი კი პირთეთრი ბიჭი იყო. ლამაზად მოდგმული და მოყვანილი. მოწაფეობის წლებში ქართულმა ჭიდაობამ გაიტაცა და მაშინ შეძენილი ძარღვი და აღნაგობა დღემდე შემოინახა.

მამა და შვილი ხასიათითაც სხვადასხვანი იყვნენ.

ცხოვრებაში ხდება ხოლმე, — ადამიანს შეხედავ თუ არა, ერთ ლანდზე გამოიჭერ მისი ხასიათის მთავარ ძარღვს. ზოგჯერ ერთი რაიმე უბრალო ნიშანი გაგიმხელს ამ საიდუმლოებას: ხმაში ჩაკეცილი რომელიღაც ძაფი, წამიერი გამოხედვა, ან კიდევ ტუჩების წყობა. ჩემთვის, მაგალითად, ტუჩების წყობა უფრო მეტყველია, ვიდრე თვალები. მერაბ ზარიძემ ისეთი დაქიმპებული სიარული იცოდა, წითელმა დათამ მაშინვე გულში გამოისკვნა, ამ კაცს ყოყმანი და უკანდახევა არ ეცოდინებაო. წინ უეცრად ორმო რომ დახვდეს, — განა შემოუვლის, იმ ორმოს გადაახტება და გზას განაგრძობსო. წითელი დათა არც შემცდარა. შორიდან შემოვლა და უხიფათო ბილიკის ძებნა მერაბ ზარიძის დავთარში არ ეწერა. არ სცალოდა.

„ამ საშინელ კაცთან ეშმაკობა არ გამოდგება!“ — გადაწყვიტა ერთხელ წითელმა დათამ და ბოლომდე მიჰყვა ამ გზას: მერაბ ზარიძეს თითქმის აღარაფერს უმალავდა.

მერაბის მამა კი, ძველი ბაყალი და მევახშე, ერთი მელამუა კაცი იყო, ლაჩარი, ვერბიჭი, როგორც ჩვენში ამბობენ. სანამ შიშველ კისერს არ დაინახავდა, ხმალს ქარქაშიდან არ ამოიღებდა.

სხვადასხვანი იყვნენ... მაშ რაღა მერაბი ამოიჭრა გულში ოთხი შვილის მამამ, დღემდე ვერ გამიგია! იქნებ იმიტომ, რომ მერაბი, პატარა ლეკვისა არ იყოს, ყველაფერს შინ მიათრევდა... ლეკვმა რომ იცის, თუ სადმე ძველი კალოში, ან სარეცხის თოკიდან ჩამოვარდნილი წინდა იპოვნა, — იმწამსვე პირს დაავლებს და თავის ეზოში მიარბენინებს, — პატარა მერაბსაც სწორედ ეს ზნე სჭირდა, — შინ მიჰქონდა ყველაფერი, რასაც გზაზე წააწყდებოდა. ჩვენი თემის ორღობეებში კი რა დიდი საუნჯე უნდა ეპოვნა მედუქნის ბიჭს? ყოჩიანთ იოსებას სამჭედლოსთან ძველი ნალები და თავკომბალა ლურსმნები ეყარა, ზოგჯერ სატვირთო ავტომობილის ძველი საბურავიც ეგდო. ერთხელ მერაბმა შინ ვეება საბურავი მიაგორა: მართალია, მჭედელს მოესწრო და ბრახუნა ჩექმების საძირედ ოთხი მთელი ნაჭერი უკვე ამოელო, მაგრამ მერაბი რას დაეძებდა! სხვა თუ არაფერი, ყინვის დროს ვენახში მაინც დასწვავდნენ... მერაბმა ის დაგლეჯილი საბურავი ჭიშკართან ისე მიაგდო, თითქოს ერთი კარგი ბედაური ყოფილიყოს.

წიფლის წყაროს რაიკავშირის საწყობთან, იცოცხლე, ბლომად ეყარა ნაირ-ნაირი ქილები და კოლოფები, მაგრამ რად გინდა? თუ საწყობის ალაყაფთან ლეკი ისმაილა მორიგეობდა, მაშინ იქაურობას ლანდად ვერ გაეკარებოდი: ამ გაზაფხულზე ისმაილას შეყვარებული გაუთხოვდა. ბიჭი ისე იყო გამწარებული, ჭილასთან კი არა, კოდის წყალთან არ მიგიშვებდა, პირი რომ გაგესველებინა. ისედაც რა ხვითო-მარგალიტს წაიღებდა კაცი ამ სანაგვედან, მაგრამ პატარა მერაბი რაღაცას მაინც გაიყოლებდა, მამას გაუხარდებაო.

ერთხელ მერაბი სკოლიდან რომ დაბრუნდა, დედამ კართან შეაჩერა და ორივე ჯიბე ამოუბრუნა.

რახარუხით,

წკრიალ-ბზრიალით

მოეფინა იატაკს რაღაც ბრჭყვიალა რგოლები, ბურთულები, კოჭები და კაყის ნატეხები.

— რად გინდა, ბიჭო, ეს ქვეყნის ხარახურა! მომკლა ქალი შენი ჯიბეების დაკერებამ! — უთხრა დედამ.

— რა გაყვირებს, ქალო! — მაშინვე ჩაუჭრა სიტყვა ოჯახის უფროსმა: — აბა ის შენი ნოდარა სჯობია, ქარივით ყველაფერი გარე-გარე რომ მიაქვს? გუშინ მაშუკამ ლეღვის ჩირი მოუტანა, სანამ ქუჩაში ბიჭებს არ შეაჭამა, შინ არ შემოიხედა!

## 2.

ის დღე კარგად მახსოვს. მერაბმა წიგნების ჩანთა კონდარზე დააგდო, ხალათის კალთები შარვალში ჩაიკრიფა და მეზობლის ბიჭს დაეჭიდავა.

ბიჭები მხიარულად ყოჩაობენ, ვერც მერაბი სჯობნის, ვეღარც მეზობლის ბიჭი... და სიცილისაგან დასუსტებული პატარები მოლზე კოტრიალობენ, ყირამალას გადადიან, მერე ისევ წამოხტებიან, ერთმანეთს მიუტოლდებიან და ისევ გულიანად გადაიკისკისებენ. მათი ძიძგილი უთუოდ ასევე მხიარულად დამთავრდებოდა, რომ იმ ეზოსთან მერაბის მამას არ ჩამოევლო. შვილი რომ დაინახა, ღობეს მიადგა და გასძახა:

— არ გაჯობოს, მერაბ, არ გაჯობოს! — გასძახა ისე კი არა, უფროსი კაცი ყვინჩილა ბიჭს რომ წაახალისებს, აბა, ბიძიკო, შენ იციო... შეუჩნდა, ცეცხლი შეუნთო და იმდენი უძახა, არიქა, ბიჭო, არ გაჯობოსო, სანამ ბავშვებში შუღლი და მტრობა არ ჩამოაგდო. მამისაგან წაქეზებულმა მერაბმა მეზობლის ბიჭი კინაღამ მოახრჩო, — გინდა თუ არა, უნდა წავაქციოო.

ძლივს გააშველეს.

ასე აედევნა მერაბის ყმაწვილკაცობას ეს საზარელი ძახილი, — ამხანაგმა არ გაჯობოსო!

სწავლობდა თუ ამხანაგს ეკამათებოდა, რაიმე შეჯიბრებაში მონაწილეობდა თუ გოგოს ეარშიყებოდა, ყური სავსე ჰქონდა მამის ხმით, ამხანაგმა არ გაჯობოსო. და ისიც, ამ ჩაძახილს აყოლილი, რა ცეცხლში არ გაივლიდა, რომ მამის რჯულზე მოქცეულიყო.

მედუქნეს ოთხი შვილი ჰყავდა, სამი ვაჟი და ერთი ქალი. პატარაობისას მერაბის ძმები სულ ერთმანეთის გამონაცვალში დადიოდნენ, ნახმარ ტანსაცმელს ათჯერ გადაუკეთებდნენ და გამოუკერავდნენ. მერაბს კი არამცთუ გამონაცვალს, — მუხლის თავზე დაკერებულ შარვალს არ ჩააცმევდა მამამისი. შარვალი იყო თუ ფეხსაცმელი, მისთვის უეჭველად ახალი უნდა ეყიდა. ხანდახან ძმები ერთმანეთს აუხირდებოდნენ და მუშტი-კრივს გამართავდნენ. მამა განა იკითხავდა, ვინ იყო ჩხუბისთავი... მერაბს ქვეყანა რომ დაექცია, იგი მაინც მერაბს გაამართლებდა.

ასე წვეთ-წვეთად ასმევდა ოჯახის უფროსი თავის საყვარელ შვილს ამ ტკბილ საწამლავს, — შენ ყველას სჯობიხარ, ამხანაგებში ტოლი და ბადალი არა გყავსო... და მერაბსაც მტრად მიაჩნდა ყველა ნაცნობი თუ უცნობი, ვინც მას დასჯაბნიდა, რამეში აჯობებდა. ერთი ამხანაგი მხოლოდ იმიტომ შეიძულა, რომ მისმა სიმღერამ ღრეობაზე სტუმრები მოხიბლა და იმ სუფრაზე მერაბი ცოტა უყურადღებოდ დატოვეს. გამარჯვებული, გახარებული ამხანაგი დასანახავად ეზარებოდა. ერთხელ სადღაც ოჯახში მერაბზე ჩამოვარდა სიტყვა. გეომეტრიის მასწავლებელმა ცამდე აიყვანა მედუქნე ზარიძის ბიჭი, — მასეთი წესიერი მოწაფე სკოლაში მეორე არა მყავს, კარგადაც სწავლობს და ყოფაქცევაც მოსაწონი აქვსო... მერაბი მაშინ მეათე კლასში იყო.

— დავიჯერო? — წამომცდა მე.

— რას ამბობ! — იყვირა გეომეტრიის მასწავლებელმა: — მთელი გაკვეთილი ისე დამთავრდება, მერაბის ხმას ვერ გაიგონებ. ზის და პირში მოგჩერებია, ერთი სიტყვა არ გამომრჩესო. ბიჭების ამბავი ხომ იცი! ერთ მოწაფეს დაფასთან რომ გავიძახებ, დანარჩენებმა თუ შეატყვეს, გაძახებულმა გაკვეთილი არ იცისო, მერე იმათ ვერაფერი გააჩერებს! დაიწყება ერთი ბუტბუტი და თითების გრეხა, რომ ხან სწორი კუთხე გამოსახონ, ხან კიდევ პარალელური ხაზები. ოთხი წელი იქნება, რაც ამ სკოლაში ვასწავლი და ჯერ არ მახსოვს მერაბ ზარიძეს წესრიგი დაერღვიოს ან კარნახით, ან უადგილო წამოძახილით! ის კი არა, წერის დროს რვეულში არავის ჩაახედებს!

გამეცინა.

რა გაცინებსო, გამიჯავრდა გეომეტრიის მასწავლებელი.

— ცოტა მიამიტი კაცი ყოფილხარ, ჩემო კარგო!

— ვითომ რატომ?!

— მერაბი კარგად ვერ გიცვნია. ერთი მეცა მკითხე, ეგ ბიჭი ამხანაგს რვეულში რატომ არ ჩაახედებს, რატომ არ უკარნახებს!.. იცი, რატომ?

— ვერაფერი გამიგია!

— ეგ შენი მერაბი ვერ არის კარგი ბიჭი, სოსო-ბატონო! მან მხოლოდ ერთი ანგარიში იცის! კლასში რაც მეტი ორიანი დაიწერება, მით უკეთესი ჩემთვის, მე უფრო გამოვჩნდები და ფასი დამედებაო...

მერაბი კარგად სწავლობდა, კარგად მღეროდა, ცეკვავდა, სიტყვა-პასუხიც კარგი იცოდა, და არც შესახედავად იყო ურიგო, მაგრამ საოცარია, — ბიჭი შეღერდა თუ არა, რატომღაც ყველაზე უარესი და ჩამორჩენილ ჭაბუკებს დაუმეგობრდა. რა იყო ეს? თავმდაბლობა? გულის სიკეთე? რა თქმა უნდა, არა. იმ ბედოვლათებს მხოლოდ იმიტომ ეტანებოდა, რომ ეს მომგებიანი ფონი იყო. შეხედავდნენ და იტყოდნენ, ამ ბიჭებში ყველას მერაბი სჯობსო.

აი ასეთი კაცი შეიბა უღელში წითელმა დათამ.

იგი ჯერ კიდევ მაშინ დაუახლოვდა მერაბ ზარიძეს, როდესაც ორივენი დაბა წიფლის წყაროს ზეთსახდელ საამქროში მუშაობდნენ. მერაბი მოანგარიშე იყო, წითელი დათა კი მზესუმზირას დამზადების წერტს განაგებდა.

მათი პირველი ხრიკები იმ პატარა საწარმოში დაიწყო.

როგორც კი დათა ყანჩაშვილი შარახევში დამკვიდრდა, მერაბმაც თავი მიანება საამქროს და შარახევს მიაშურა. ჯერ საბჭოში მუშაობდა. ისევ მოანგარიშედ. მერე კი, როდესაც წითელი დათა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, ყანჩაშვილმა იმდენი იმარჯვა, რომ ეს „მეცნიერი მოანგარიშე“ (ასე ეძახდა იგი მერაბ ზარიძეს) თავის მოადგილედ დააბრძანა „გაზაფხულში“.

მაშინ კი გაშალეს ხელები ძმა-კაცებმა და შვიდ-რვა წელიწადში სახელმწიფო გეგმას იმდენი ცხვარ-ბატკანი და ტყეში გაშვებული ღორი გადაუმალეს, ისეთი ფარული ქონებრივი მარაგი შექმნეს, რომ ძმა-კაცების გულმა საახალწლო ბუხარივით მოილხინა.

ამ ფარულ მარაგს სამი დანიშნულება ჰქონდა.

პირველი:

საჭიროების დროს ჩამორჩენილ გეგმას ხელდახელ წაუშველებდნენ, ხორცის დანაკლისი იყო თუ ყველისა, ყველაფერს დაფარავდნენ და ჩოხელის საყვედურს თავიდან აიცილებდნენ.

მეორე:

ამ ქონების ნაწილს საჭირო კაცის გული უნდა მოეგო, რათა იმ კაცს არ დაენახა, რისი დანახვაც წითელ დათას საწყენს შეახვედრებდა; არ დაეთვალა, რისი დათვლაც „გაზაფხულის“ თავმჯდომარეს ხელს არ აძლევდა.

და მესამე:

ამ მესამეს გამო ცოტა უფრო შორიდან უნდა დავიწყო სიტყვა.

წითელ დათას მუდამ ახსოვდა ერთი ძველი ამბავი, მისი ცოლის ნათესავს რომ გადახდა. გვარად მგონი, ჯალიაშვილი იყო, წიფლის წყაროს რაიკავშირში მუშაობდა.

ცხოვრობდა მყუდროდ, უჩინრად, — მისი არც სიმდიდრე გეცემოდა თვალში და არც სიღარიბე. მაგრამ ეტყობა, ცოდვამ მაინც არ მოასვენა, — ერთხელ ქალაქიდან ისეთი ძვირფასი ავეჯი ჩამოიტანა, მტერსაც და მოყვარესაც თვალი დაუყენა.

არ გასულა დიდი ხანი, ჯალიაშვილი რაიკავშირის კომუჯრედის მდივანმა გამოიძახა.

— ბოდიში, ამხანაგო სერგო, მინდა მეგობრულად ერთი რამ გკითხო! — უთხრა და მაგიდის უჯრიდან საქაღალდე ამოიღო.

— ორი იყოს, ამხანაგო ოთარ! — მიეხმატკბილა ჯალიაშვილი.

— პარტიის წესდებას კარგად იცნობ?

— რა მოხდა, ამხანაგო მდივანო, შემეშალა რამე?! — აბრუ არ გაიტეხა ჯალიაშვილმა.

— არ მინდა შეგეშალოს! სწორედ ამიტომ დაგიძახე, — მიუგო მდივანმა და თვალებში შეხედა.

— ეტყობა, რაღაც მაინც დავაშავე! — ისევ იმ უტეხი კილოთი სთქვა ჯალიაშვილმა.

— მაგას ეს ქაღალდი გვეტყვის, ამხანაგო სერგო! — უთხრა მდივანმა და ნაწერით სავსე ფურცელი წინ დაუდო ჯალიაშვილს.

ჯალიაშვილმა დახედა, — პარტიის საწევრო შესატანის უწყისი იყო.

იგი მაინც ვერ მიხვდა, სად უმიზნებდა კომუჯრედის მდივანი და უფრო წათამამდა:

— ცოტა მეჩქარება, ამხანაგო მდივანო!

— ახლავე გაგიშვებ, ოღონდ ჯერ მითხარი, შენ იცი თუ არა, რომ პარტიის წევრმა პარტიას თავისი ფულადი შემოსავალი არ უნდა დაუმალოს, ერთი მანეთიც კი არ უნდა დააკლოს!

— რა დავაკელი, ამხანაგო ოთარ! აგერ უწყისი და აგერ ჩემი ხელფასი, სხვა შემოსავალი მე არაფერი მაქვს!

— სულ არაფერი?!

— არაფერი! — მძიმედ ამოისუნთქა ჯალიაშვილმა.

— მაშინ ეგ ავეჯი საიდან, ამხანაგო ჯალიაშვილო! ამ სამეფო ავეჯს შენი ორასი მანეთი კი არა, ორი პროფესორის ხელფასი არ ეყოფოდა! იქნებ დანაზოგი გქონდა რამე?

— ორასი მანეთიდან რა უნდა დამეზოგა, ამხანაგო მდივანო! ოთხი სული მყავს ოჯახში! სტუმარსაც დახვედრა უნდა!

— მეც მაგას გეკითხები, შე დალოცვილო! ეგ წითელი ხეები რა ფულმა ჩამოიტანა ქალაქიდან!

— მე კი მეგონა, რაღაც უბედურება მჭირდა! — ჩაიცინა ჯალიაშვილმა. მხოლოდ ძალიან დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ამ სიცილს სიცილის მადლი აკლდა: — თავიდანვე ეგრე გეთქვა, კარგო უფროსო, ამ ჭირის ოფლს გადამარჩენდი. მართალია, ჭავჭავაძის ქალს ვერ მოვაწონე თავი, რომ ცოლად წამომყოლოდა, მაგრამ არც მთლად გოგია უიშვილის სიძე გახლავარ! ცოტა მზითევი ჩემმა დედაკაცმაც მოიყოლა ოჯახში! ოქროს ყელსაბამი, მაჯის საათი, ვერცხლის კოვზები... იყო კიდევ რაღაცეები! იმ დღეს ჩემი ოჯახობა თვითონ შემეხვეწა, წაიღე და ყველაფერი გაყიდე, ოღონდ ეს ცარიელი ოთახები გამიხარე და გამილამაზეო... მეც ავდექი და ვიფიქრე, რახან ცოლის მზითევი გავიმეტე, ბარემ ისეთი ვიყიდო, საშვილიშვილოდ დარჩეს-მეთქი! ის-კი არა, ცოტა ფული დამაკლდა და მეზობელს გამოვართვი.

— აგაშენა ღმერთმა! — გულწრფელად აღმოხდა კომუჯრედის მდივანს. ეტყობოდა, მართლა გაახარა ჯალიაშვილის დასაბუთებულმა სიტყვა-პასუხმა: — ბოდიში, რომ მოგაცდინე...

— ბოდიში მე უნდა გითხრა, ამხანაგო მდივანო, რომ სოფელი გადავრიე! შეიძლება წავიდე!

— ახლავე, ახლავე ამხანაგო სერგო, — აჩქარებით მიუგო მდივანმა: — მხოლოდ ერთი წუთით... ბარემ ისიც მითხარი, ვის მიყიდე შენი ცოლის ნამზითვი ოქროულობა, ან ფული ვისგან ისესხე! მითხარი, და წადი!

ჯალიაშვილი შეჩქვიფდა.

— მამოწმებ, ამხანაგო ოთარ! კომუნისტის სიტყვას არ ენდობი?!

— ნდობა და შემოწმება ერთი-მეორეს ხელს არ უშლის, ამხანაგო სერგო, ისინი ერთი ულლისანი არიან! — ოდნავ ხმას აუწია მდივანმა და უწყისი ისევ უჯრაში შეინახა.

— რა გავყიდე, რა ვიყიდე, ეს ჩემი პირადი საქმეა, ამხანაგო მდივანო! ჩოხელთან ვიჩივლებ, კომუჯრედი ძალიან იჭეჭება ჩემს კიდობანში!

— დაწყნარდი, ამხანაგო, კომუჯრედს ვერავინ წაართმევს იმის უფლებას, რომ თავის წევრს დაუძახოს და ჰკითხოს, ეგ ამოდენა ხაზინა საიდან გაქვსო!

— არ მეგონა, ამხანაგო მდივანო, თუ ლამაზი ცხოვრება აკრძალული იყო! დღესვე ყველაფერს უკან დავაბრუნებ!

— სიტყვას დაუფიქრდი, ამხანაგო სერგო! შენ ლამაზ ცხოვრებას კი არავინ გიკრძალავს, — შენი ხელფასის პატრონმა ეგ ძვირფასი ავეჯი საიდან იყიდეო, ამას გეკითხებიან!

— მეც გიპასუხე, შე კაი-კაცო, ცოლის მზითევი გავყიდე-მეთქი! თელავში ვიყავ, ჩემი ნივთები ოქრომჭედელს შევაფასებინე. იქ შემხვდა ერთი ქალაქელი კაცი და იმან დამიცალა ხელი. არც მისი გვარი ვიცი, არც მისი მისამართი.

— კარგი, ამხანაგო ჯალიაშვილო. რა გაეწყობა, რაც არ იცი, არ იცი!

მალე წიფლის წყაროში ხმა გავარდა, სერგო ჯალიაშვილს საწყობი აუწერეს და სამართალში აძლევენო. გამოძიება ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ ხალხი უკვე ლაპარაკობდა, ჯალიაშვილმა და მისმა ამქარმა შავი ბაზარი ყელამდე მოჭყარეს, იმდენი ხე-ტყე, თეთრი და შავი თუნუქი და კიდევ რამდენი რაგინდარა საწყობიდან ჩუმად გაიტანეს და კერძო პირებს მაშასისხლად მიყიდესო...

როგორც ძაღლის ნაკბენი არ დაგავიწყდება, ისე შემორჩა წითელი დათას მეხსიერებას ცოლის ნათესავის ამბავი. „გაზაფხულის“ თავმჯდომარეს ფული უკვე თავსაყრელად ჰქონდა, მაგრამ არც მისი სახლი და სახლის მორთულობა, არც მისი ცოლ-შვილის ჩაცმა-დახურვა, არც მისი ქორწილი და ქელეხი, — არაფერი მისი არ ამბობდა, რომ „გაზაფხულის“ თავმჯდომარე უპატიოსნოდ ცხოვრობსო.

მაშ სად მიჰქონდა ფარული მარაგიდან შემოსული ფული!

მუთაქაში ინახავდა?

არა, ქაღალდის ფულს როგორ ენდობოდა წითელი დათა, ქაღალდი წარამარა იცვლება და ფასი ეკარგებაო... არც ჩვენი დროის ოქროულობას ეტანებოდა. „ამათ ოქროს ტყუილად ეძახიან ოქროს, ნახევარი რკინა არისო!“ — ფიქრობდა იგი და მხოლოდ და მხოლოდ ნიკოლოზის ოქროს თუმნიანებზე ნადირობდა. აჩენილი ჰყავდა ერთი ვიღაც გამოქექილი, ჯიბიდან გავარდნილი ნაკაცარი; მეფის დროინდელ ოქროს კი არა, თუ მოისურვებდი, სამთავროს სამარხებში ნაპოვნ თვალ-მარგალიტს ჩაგიდებდა ხელში...

საიდან გაჩნდა ეს ფარული მარაგი?

„გლეხის იმედის“ თავმჯდომარე ზაქარია ნადიბაიძე სიხარულისაგან ბაღდადურს დაუვლიდა, როდესაც მისი დედა-ცხვრები ტყუპებს მოიგებდნენ. ერთხელ დედა ღორმა ბურენამ თვრამეტი გოჭი დაჰყარა და თვრამეტივე შეინარჩუნა. ზაქარიამ წიფლის წყაროს ფოტოგრაფი ჩამოიყვანა, ბურენას თავის გოჭებიანად სურათი გადაუღო და კედლის გაზეთში გამოჰკიდა.

ათას დედა ცხვარზე — რვაასი ბატკანი, — ასეთი იყო კალოთუბანში დოლის წლიური გეგმა, მაგრამ ზოგჯერ სასწაულიც მოხდებოდა, ათასი დედა ცხვარი ათას ორას, ათას სამას ბატკანს მოიგებდა. ზაქარია მაშინვე ტელეფონს ეცემოდა, რაიკომის მდივანს სიმონ ჩოხელს გავახარებო.

წითელი დათა კი არამცთუ ჩოხელს და სოფელს, საკუთარ ცოლშვილსაც არ გაუმხელდა მოულოდნელი ნამატის ამბავს. ახლად დაბადებული ტყუპების ცალებს ყურზე ნიშანს დაადებდნენ თუ არა, მერე მათი ხსენება აღარ იყო კოლმეურნეობა „გაზაფხულის“ დავთრებსა და საბუთებში. ასე მრავლდებოდა წლიდან წლამდე გეგმას მიუთვლელი პირუტყვი, — ბატკანი თუ ხბო, ზაქი თუ გოჭი და როგორც ძველად მირაქში იტყოდნენ, — ურმის ღერძი უკვე აღარ ჭრიალებდა ისე ძალიან, რომ ნატუსალის სუნი აეშვა.

17 ოქტომბერი კვების მრეწველობის მუშაკთა დღეა

# ადამიანების საკეთილდღეოდ

**ისევე,** როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მრავალათასიანი კოლექტივი ამჟამად ცხოვრობს და იღვწის სახელოვანი თარიღების — სსრ კავშირის შექმნის 60 და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 65 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

სამინისტროს სისტემის სამრეწველო საწარმოებს, საამქროებს, საწარმოო უბნებსა და ბრიგადებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მიზნად ისახავს წარმოების მოცულობათა გადიდების, მუშაობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების რეზერვების გამოვლენას და გამოყენებას. გაწეული მუშაობის შედეგად, დაქვემდებარებული სამრეწველო გაერთიანებიდან და საწარმოებიდან შემოსული წინადადებების საფუძველზე, სამინისტრომ განიხილა და კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე დაამტკიცა დამატებითი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებს მიმდინარე წლის გეგმისა და პირვანდელი ვალდებულებების გადამეტებით 6,7 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციის, 100 ტონა საკონდიტრო ნაწარმის, 150 ტონა საფუარის, 50 ათასი დეკალიტრი ლუდის, 30 ათასი მანეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმის გამოშვებას, რეალიზაციის გეგმის 5 მილიონი მანეთით გადაჭარბებას.

ამ მაჩვენებლების მიღწევა საშუალებას მოგვცემს საიუბილეოდ და მთლიანად 1982 წლის შედეგების მიხედვით დავძლიოთ წლის პირველ ნახევარში დაშვებული ჩამორჩენა და წარმატებით დავამთავროთ ხუთწლედის მეორე წელი.

ახლა, როცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ თითქმის სამი თვე გავიდა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მიცემულ სიტყვას უეჭველად შევასრულებთ. ამის განცხადების უფლებას გვაძლევს, პირველყოვლისა, შედეგები, რომლებიც მიმდინარე წლის III კვარტალსა და მთლიანად 9 თვეში მოვიპოვეთ. მაგალითად, სასაქონლო პროდუქციის წარმოების III კვარტალის გეგმა 3,9 მილიონი მანეთით გადავაჭარბეთ, მთლიანად 9 თვეში — 8,4 მილიონი მანეთით. წარმოების ზრდის ტემპმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით III კვარტალში 117, ხოლო 9 თვეში — 101,2 პროცენტი შეადგინა.

წლის დასაწყისიდან შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალება გადაჭარბებულია 1,7 პროცენტით, რეალიზაციის მოცულობისა — 3,8 მილიონი მანეთით, მიღებულია ზეგეგმითი მოგება 1,1 მილიონი მანეთის ოდენობით, შესრულებულია კაპიტალდაბანდებათა ათვისებისა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის საგეგმო დავალებანი. ფართოვდება დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხორციელდება ღონისძიებანი წარმოებაში მეცნიერების მიღწევების, მოწინავე ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის.

ამჟამად სამინისტროს საწარმოები უშვებენ 13 ახალი სახეობის პროდუქციას. წლის ბოლომდე კი მომხმარებელი მიიღებს სასმელ „პეფსი-კოლას“, მატონიზირებელ უალკოჰოლო სასმელებს „ლებარდეს“ და „დარიალს“, რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს საკავშირო სადეგუსტაციო კომისიაზე, აგრეთვე გაუმჯობესებული ხარისხის სიგარეტებს.

ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს სამეცნიერო-კვლევითსა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან. დასახული პროგრამა ითვალისწინებს 40-მდე სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ხასიათის ღონისძიების განხორციელებას, რომლებსაც დარგის შემდგომი განვითარებისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი კვლავ პროდუქციის ხარისხია. უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა, საწარმოები აღიჭურვა უახლესი სისტემის მანქანა-დანადგარებით, მოწყობილობებით, ნაკადური ხაზებით, დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა ტექნოლოგიური პროცესები, გაძლიერდა ხარისხის მართვის სამსახური, კონტროლი და მომთხოვნელობა დაქვემდებარებული საწარმოებისადმი. ხარისხის გაუმჯობესების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის ფართო პროგრამით დანერგვამ. წელს დავიწყეთ გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის გამოშვება. განვლილ პერიოდში მომხმარებელმა მიიღო 7 მილიონი მანეთის ასეთი პროდუქცია, ხოლო 1983 წელს მისი მოცულობა 78 მილიონ მანეთს მიაღწევს.

მიუხედავად აღნიშნული დადებითი ძვრებისა, დარგის საწარმოების მიერ გამოშვებული ნაწარმი თავისი სამომხმარებლო თვისებებითა და გარეგნობით ყოველთვის როდი შეესაბამება მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნებს. ამ მხრივ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში, უწინარესად ჩვენს დედაქალაქ თბილისში, განსაკუთრებით მწვავედ დგას ჩვენი უპირველესი პროდუქციის — პურის ხარისხის პრობლემა. ამ ბოლო დროს ეს საკითხი სამინისტროს განსაკუთრებული ზედამხედველობისა და ყოველდღიური კონტროლის ობიექტად გადაიქცა. უკვე შეინიშნება გარკვეული დადებითი ძვრები. ვფიქრობთ, რომ დედაქალაქში პურის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემის გადაწყვეტას ხელი უნდა შეუწყოს იმ გარემოებამაც, რომ საწარმოო გაერთიანება „თბილპურის“ ხელმძღვანელობაში მოხდა ძირეული ცვლილება.

შრომის ნაყოფიერების ზრდის სწრაფმა ტემპმა საშუალება მოგვცა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად აგვემაღლებინა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის დონე და ამავე დროს შეგვენარჩუნებინა ამ ორ მაჩვენებელს შორის სწორი ეკონომიკური თანაფარდობა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სამრეწველო-საწარმოო პერსონალის თითოეული მუშაკის საშუალო თვიურმა ხელფასმა 167,2 მანეთს მიაღწია, რაც 8,7 მანეთით ანუ 5,5 პროცენტით აღემატება დარგის საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

ჩვენ მუდამ ვგრძნობთ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და ადგილობრივი ორგანოების მხარდაჭერას, რომელთა დახმარებით არაერთი მტკივნეული პრობლემა გადაწყდა და საშუალება მოგვცა სტაბილური გაგვეხადა ცალკეული საწარმოების და მთლიანად დარგის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა.

მიღწევებთან ერთად მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა როდი გვაქვს ხარვეზები. ერთ-ერთ მწვავე პრობლემად კვლავ რჩება სოციალისტური საკუთრების მტკიცედ დაცვა უკანონო ხელყოფისაგან, სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების გაწმენდა სხვადასხვა ჯურის საეჭვო, სახელგატეხილი ელემენტისაგან. სამინისტროს მრავალათასიან კოლექტივს დღესაც სამარცხვინო ლაქად აძევს სახელმწიფო ქონების დატაცების და განიავების ის აღმაშფოთებელი ფაქტები, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოხდა ჩვენთან. მინდა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველი დავარწმუნო, რომ სამინისტროს აპარატს უნარი შესწევს შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადოს ნეგატიური მოვლენების ყოველგვარ გამოვლინებას.

და, ბოლოს, იმის შესახებ, თუ რა მაჩვენებლებით ვხვდებით ტრადიციულ კვების მრეწველობის მუშაკთა დღეს, რით აღვნიშნავთ მოახლოებულ იუბილეებს და როგორ დავამთავრებთ 1982 სამეურნეო წელს.

წინასწარი მონაცემებით, 10 თვეში სასაქონლო პროდუქციის მოცულობა მიაღწევს 458,5 მილიონ მანეთს, რაც 8,8 მილიონი მანეთით აღემატება საგეგმოს და წარმოების ზრდის ტემპს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,4 პროცენტით გაადიდებს. ახლა სამინისტროს სისტემაში შემავალ საწარმოთა კოლექტივები იბრძვიან იმისათვის, რომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გადიდებას მიაღწიონ მთლიანად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა გადაჭარბებული იქნება 5 მილიონი მანეთის ოდენობით, გადაჭარბებით შესრულდება აგრეთვე ისეთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმები ნატურალური მაჩვენებლებით, როგორიც არის პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო და მაკარონის ნაწარმი, ფერმენტირებული თამბაქო, საფუარი, ლუდი, ბროლის ნაწარმი და სხვა.

დღეს, აღვნიშნავთ რა ჩვენს დღესასწაულს, ვსარგებლობთ შემთხვევით და კვების მრეწველობის ყველა მუშაკს ვუსურვებ შემოქმედებითს წარმატებებს. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუოდ განხორციელებისათვის.

**რ. კონცელიძე,**
**საქართველოს კვების მრეწველობის მინისტრი.**

## დღესასწაულს მიეძღვნა

**წარმოების** შემდგომი განვითარება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ნედლეულის ბაზის განმტკიცება — ასეთია კვების მრეწველობის საწარმოთა მშრომელების ამოცანები. იმაზე, თუ როგორ წყდება ეს ამოცანები, ილაპარაკეს კვების მრეწველობის მუშაკთა დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. იგი გაიმართა თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში. მასში მონაწილეობდნენ დარგის მოწინავე მუშაკები, რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა ე. გორტლიშვილმა.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ უფროსმა ე. მალაზონიამ.

სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ საწარმოო გაერთიანება „თბილისკონდიტერის“ გენერალური დირექტორი თ. ლომიძე, საწარმოო გაერთიანება „თბილისხორცის“ მუშა ვ. იასაშვილი, მახარაძის № 2 ჩაის ფაბრიკის მუშა დ. თავამაიშვილი და სხვები.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ლ. ზაქაიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივნები ზ. კვაჭაძე და ი. ხაზარაძე. (საქინფორმი).

დღევანდელი ზურბაზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

16 ოქტომბერი

# მეგობრობა მტკიცდება

საზეიმო სხდომა ფინეთის ქალაქ ტურკუში

**ტურკუ (ფინეთი). ფინეთის ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო ცენტრის ქალაქ ტურკუს საკონცერტო დარბაზში საბჭოთა კულტურის კვირეულთან დაკავშირებით საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომა გაიმართა.**

დიდად სიმბოლურია, რომ კულტურის დარგში საქართველოს წარმატებების გაცნობა მიმდინარეობს იმ წელს, როცა საბჭოთა კავშირი აღნიშნავს დიდ დღესასწაულს — თავისი შექმნის 60 წლისთავს, განაცხადა კრებაზე გამოსულმა ტურკუს მერმა ვიაინე ლეინომ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ღირსეული ადგილი უკავია საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს იმ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომლებიც წარმატებით ხორციელდება სსრ კავშირში.

ათასობით კილომეტრი აშორებს ფინეთსა და საქართველოს. მაგრამ მანძილი რა სათქმელია, როცა საქმე ეხება ნამდვილ მეგობრობას, კეთილმეზობლობას, ურთიერთნდობას, თქვა ვ. ლეინომ. მან აღნიშნა, რომ ფინელებს მიეცათ შესანიშნავი შესაძლებლობა, გაეცნონ იმ რესპუბლიკის დიდ და მრავალფეროვან კულტურას, რომელსაც მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების განვითარებაშიც აქვს მაღალი მაჩვენებლები.

ვ. ლეინომ აღნიშნა, რომ საბჭოთა კულტურის ტრადიციულ კვირეულს დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის კულტურული ურთიერთობის გაფართოებაში, ორი ქვეყნის კეთილმეზობლური დამოკიდებულების განვითარებაში.

საზეიმო კრებას დაესწრნენ ფინეთის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების აქტივისტები, აგრეთვე საბჭოთა დელეგაცია აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ჯ. უბილავას მეთაურობით.

კრების დასასრულს გაიმართა საბჭოთა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, რომელსაც თბილად შეხვდნენ დამსწრენი.

## ახტი პეკალა:

# „ჩვენ შევიყვარეთ საქართველო"

სამ დღეს ეცნობოდა რესპუბლიკის ცხოვრებას ფინეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ფინანსთა მინისტრი ახტი პეკალა, რომელიც 15 ოქტომბერს თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. აეროდრომზე მან ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს.

— საქართველოში ჩვენი ვიზიტის პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესო იყო, — თქვა ახტი პეკალამ. — ჩვენს გარშემო მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფერო სუფევდა.

ახლა, როცა უკეთ გავეცანით თქვენი რესპუბლიკის წარსულსა და აწმყოს, თვალნათლივ დავინახეთ დიდი წარმატებანი, რომლებსაც საქართველომ მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მინდა აღვითქვათ, რომ ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა წვლილი შევიტანო ჩვენი ქვეყნების კარგი ურთიერთობის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირში ვხედავდით მოღიმარ ადამიანებს. ახლა, როცა სრული წარმოდგენა გვაქვს იმ პროგრესზე, რომელსაც თქვენმა რესპუბლიკამ მიაღწია ცხოვრების ყველა სფეროში, გვესმის კარგი განწყობილების მიზეზი.

ჩვენს ქვეყნებს შორის ტრადიციული მეგობრობა და ურთიერთხელსაყრელი საქმიანი კონტაქტები დამყარდა. სხვა ქვეყნებსაც ასეთივე ურთიერთობა რომ ჰქონდეთ, მსოფლიოში უფრო სიმშვიდე იქნებოდა.

ეკონომიკის დარგში საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობა დიდ დახმარებას უწევს ჩვენს ქვეყანას. სსრ კავშირი ფინეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პარტნიორია ვაჭრობაში, თანაც ყველაზე საიმედო. მხარს ვუჭერთ კონტაქტების შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას ცხოვრების ყველა სფეროში.

დამერწმუნეთ, თქვა დასასრულ ახტი პეკალამ, რომ ჩვენი სახით თქვენ შეიძინეთ გულწრფელი და ერთგული მეგობრები. ჩვენ შევიყვარეთ საქართველო, მან დიდი ადგილი დაიკავა ჩვენს გულში.

* * *

გამგზავრების წინ ფინელი სტუმრები ეწვივნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, იყვნენ მცხეთაში.

საქართველოს მთავრობამ სადილი გაუმართა ახტი პეკალასა და ფინეთის დელეგაციის წევრებს.

ფაქტის კომენტარი

# მოულოდნელობა თუ კანონზომიერი აქტი?

**გასულ** კვირას იაპონიაში გამოაცხადეს, რომ პრემიერ-მინისტრმა დ. სუძუკიმ მიიღო გადაწყვეტილება მოიხსნას მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნოემბრის შუა რიცხვებში გაიმართება პარტიის ახალი ლიდერის არჩევნები და იგი ავტომატურად შეცვლის სუძუკის ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტზე. საქმეში ჩაუხედავ კაცს ეს ფაქტი შეიძლება მოულოდნელობად მოეჩვენოს, მაგრამ თუ იაპონიის პრესის მასალებით და ოპოზიციური პარტიების შეფასებებით ვიმსჯელებთ, სუძუკის გადადგომა სრულიად კანონზომიერი აქტია.

გადადგომას, მართალია, წინ უსწრებდა მწვავე წინააღმდეგობა და შინაპარტიული ბრძოლა სხვადასხვა დაჯგუფებას შორის თვით ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში, მაგრამ პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური კრახის მთავარი მიზეზი მაინც იაპონიის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესებაში უნდა ვეძებოთ. თვითონ დ. სუძუკიმ აშკარად განაცხადა, რომ მისი გადაწყვეტილება „საშინაო და საგარეო პრობლემების ზრდით" იყო ნაკარნახევი.

ამასთან დაკავშირებით იაპონიის გავლენიანი ბურჟუაზიული გაზეთი „იომიური" სარედაქციო სტატიაში წერს, რომ ახლანდელმა მთავრობამ არსებითად ვერ შეასრულა ვერც ერთი თავისი დაპირება. მან არათუ არ გააუმჯობესა ქვეყნის საფინანსო მდგომარეობა, შეამცირა სახელმწიფო ვალი, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავა ეკონომიკური კონიუნქტურა.

დ. სუძუკის კაბინეტის ეკონომიკური პოლიტიკა პრაქტიკულად გაკოტრდა და, როგორც ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ირონიულად აღნიშნავდა, „მთავრობა ყელამდე ვალებში ჩაფლული" აღმოჩნდა.

იაპონიის სახელმწიფო ვალი წელს ასტრონომიულ თანხას — 100 ტრილიონ იენს მიაღწევს. ღრმა კრიზისს განიცდის მრეწველობის წამყვანი დარგები, იზრდება უმუშევართა არმია.

ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ქვეყნის პრემიერი „დრამატულ გადაწყვეტილებას" მიიღებდა, მან განაცხადა, რომ აპირებს ერთ დონეზე გაყინოს სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასი, აგრეთვე ასიგნებანი სოციალური საჭიროებისათვის. ეკონომისტთა გამოანგარიშებით, ეს იმის მომასწავებელია, რომ მკვეთრად გაუარესდება 26 მილიონი იაპონელი მშრომელის ცხოვრების პირობები. ცხადია, ამ ღონისძიებამ არა მარტო მოსახლეობის ფართო მასების, არამედ ბიზნესმენთა გულისწყრომაც გამოიწვია, რამდენადაც ცხოვრების დონის დაქვეითება, ხოლო შესაბამისად მოსახლეობის იმ გარკვეული ნაწილის მყიდველობითი უნარიანობის შემცირება, რომელიც სახელმწიფო სახსრებით ცხოვრობს, გასაღების ბაზარს შეუმცირებს იაპონელ მეწარმეებს.

გაზეთი „იომიური" დ. სუძუკის აბრალებს აგრეთვე „ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო თანამშრომლობის საკითხებისადმი უპასუხისმგებლო მიდგომას". პრემიერი ვაშინგტონს შეჰპირდა, რომ იაპონია იკისრებს ქვეყნის ნაპირებიდან 1000 მილი რადიუსის ზონის „დაცვას". იგი ითვალისწინებს იაპონიის მონაწილეობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთობლივ სამხედრო ოპერაციებში, რაც ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას. ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქადის იაპონიას, აღნიშნავს გაზეთი.

ამავე დროს საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვამ ცხადყო, რომ სუძუკის მთავრობის პოპულარობა მკვეთრად დაეცა — მისი პოლიტიკა მხოლოდ გამოკითხულთა 16-მა პროცენტმა მოიწონა. ვაშინგტონ-ტოკიოს მილიტარისტული ალიანსის განმტკიცება, ანტისაბჭოურობის კურსი ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო წრეების გულისწყრომას იწვევს.

როგორც ვხედავთ, სუძუკის კაბინეტმა კრახი განიცადა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იაპონიის მმართველები ახალ გზას ადგებიან? როგორც იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ასუკატამ განაცხადა, ხელისუფლების სათავეში სხვა მთავრობის მოსვლაც, რომელსაც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია შექმნის, ქვეყანას ჩიხიდან ვერ გამოიყვანს, ხოლო ვაშინგტონში იმედოვნებენ, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, რომ მმართველ ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში მოიძებნება სხვა პოლიტიკოსი, რომელიც „არ აზარალებს იაპონიის ბიზნესთან მთავრობის მჭიდრო კავშირს და ქვეყნის პროამერიკულ საგარეო პოლიტიკას".

საქდესის მასალების მიხედვით.

● ესპანეთი

## არჩევნების წინ

**მადრიდი. ესპანეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია მადრიდის ტერიტორიული სასამართლოს გადაწყვეტილებამ ნება დართოს სამოქალაქო გვარდიის პოდპოლკოვნიკს ა. ტეხეროს კენჭი იყაროს პარლამენტის არჩევნებზე 28 ოქტომბერს.** მას მისჯილი აქვს 30 წლის პატიმრობა სახელმწიფო გადატრიალების შარშანდელ ცდაში მონაწილეობისათვის. პუტჩისტის კანდიდატურა წამოაყენა უკიდურესმა მემარჯვენე ორგანიზაციამ — „ესპანელთა სოლიდარობამ."

ტეხეროს ადვოკატებმა სხვადასხვაგვარი იურიდიული ხრიკებით ისარგებლეს და მიაღწიეს იმას, რომ სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება მიეღო. აქამდე მადრიდის პროვინციულმა საარჩევნო კომისიამ ამორიცხა შეთქმული კონგრესის დეპუტატობის კანდიდატთა სიიდან.

„ესპანელი ხალხის აბუჩად აგდება" უწოდა დედაქალაქის ტერიტორიული სასამართლოს გადაწყვეტილებას მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ, დემოკრატიული ცენტრის კავშირის პარტიის ლიდერმა ა. სუარესმა.

● ბოლივია-ნიკარაგუა

## აღადგინეს დიპლომატიური ურთიერთობა

**ლა-პასი. ბოლივიაში ოფიციალურად გამოაცხადეს ნიკარაგუასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.** საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ორ ქვეყანას შორის კავშირურთიერთობა განვითარდება მეგობრობის, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე.

# ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობა

**ჰანოი. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაჭრით უარყო ჩინეთის ბრალდება, თითქოს „ვიეტნამის ჯარებმა შეიარაღებული პროვოკაციები მოაწყვეს საზღვარზე" ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულების პერიოდში.**

ამგვარი ცნობების გავრცელება, ნათქვამია საპროტესტო ნოტაში, მიზნად ისახავს იმას, რომ შეცდომაში შეიყვანონ მსოფლიო და ჩინეთის საზოგადოებრიობა, რომლებიც სულ უფრო მეტი სიმპათიით ეკიდებიან ვიეტნამის ინიციატივებს ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე ვითარების მოსაწესრიგებლად, ვიეტნამსა და ჩინეთს შორის კავშირურთიერთობის გაუმჯობესების პირობების შესაქმნელად.

## ფოტოინფორმაცია



**შვეიცარია. სახელგანთქმულ კომედიურ მსახიობსა და კინორეჟისორს ჩარლი ჩაპლინს შვეიცარიაში მისი 25-წლიანი ყოფნის აღსანიშნავად ქალაქ ვევეში ძეგლი აუგეს. ბრინჯაოს ფიგურაში (სურათზე) გამოხატულია მისი ყველაზე პოპულარული კინოგმირი ქვაბქუდით და ჯოხით ხელში. ძეგლის გახსნაზე ასზე მეტი ბიჭუნა და გოგონა მოვიდა, რომლებსაც „ჩარლის" გრიმი ჰქონდათ გაკეთებული და მის ტრადიციულ კოსტიუმში იყვნენ გამოწყობილი. ისინი ვევეში ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დიდი მსახიობის ხსოვნის აღსანიშნავად.**

კეისტონ-საქდესის ფოტო.

● გფრ

# ახალი მთავრობა, ძველი პრობლემები

**გერმანიის** ფედერაციულ რესპუბლიკაში დამთავრდა შინაპოლიტიკური კრიზისის მორიგი ეტაპი, რომელიც მიმდინარე წლის 17 სექტემბერს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ცამეტწლიანი კოალიციის დაშლის შედეგად დაიწყო. კრიზისი გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა (ეკონომიკური სიძნელეები, უმუშევრობისა და სამხედრო ხარჯების ზრდა).

მთავრობის კრიზისის დროებითი შეჩერების მიზნით კანცლერმა ჰ. შმიდტმა გადამდგარი თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრი მინისტრების პოსტები თავის სხვა მინისტრებს შეუთავსა (საგარეო საქმეთა მინისტრობა თვითონ იკისრა) და ბუნდესტაგში შეიტანა წინადადება ვადამდე, ამა წლის ნოემბერ-დეკემბერში მოეწყოთ ბუნდესტაგის ახალი არჩევნები. მან მოუწოდა ოპოზიციას ხელი არ შეეშალა მისთვის ამ დროებითი ღონისძიების განხორციელებაში.

მაგრამ ოპოზიციურმა პარტიებმა მხარი არ დაუჭირეს ჰ. შმიდტის მოწოდებას და ბუნდესტაგში შეიტანეს წინადადება მისი მთავრობისადმი ეგრეთ წოდებული „უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის" გამოცხადების შესახებ. ამავე დროს მათ კანცლერის პოსტზე წამოაყენეს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარის ჰელმუტ კოლის კანდიდატურა, რომელიც 1 ოქტომბერს ხმის უმრავლესობით აირჩიეს კიდეც.

ბონში კანცლერისა და მთავრობის შეცვლამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია უცხოეთის პრესაში. აღნიშნავენ ბონში ჩრდილოატლანტიკური ბლოკის პოზიციების მოსალოდნელ გაძლიერებას, მაგრამ არავინ კრინტს არ ძრავს ბონში „აღმოსავლურ პოლიტიკაზე" უარის თქმაზე. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან „აღმოსავლურ პოლიტიკას" მხარს უჭერს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის უმრავლესობა, ამ პოლიტიკამ დადებითი შედეგები მოუტანა დასავლეთ გერმანიას. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებამ, რომელსაც საფუძვლად დაედო 1970 წლის აგვისტოს ხელშეკრულება, ხელი შეუწყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას და ევროპაში დაძაბულობის შენელებას. „ცივი ომის" პოლიტიკის აღდგენა, ვაშინგტონის დიქტატისადმი სრული მორჩილება, ანტისოციალისტური „სანქციებისათვის" მხარდაჭერა ხელს არ მისცემს დასავლეთ გერმანიას.

ვაშინგტონში აღფრთოვანებით შეხვდნენ ბონში მთავრობის შეცვლას, მით უფრო, რომ ჰ. კოლმა განაცხადა, ადენაუერის, გერჰარდისა და კიზინგერის მემკვიდრე ვარო. თეთრ სახლში დარწმუნებული არიან, რომ ბონის ახალი მთავრობა უფრო აქტიურად დაუჭერს მხარს ნატოს პოლიტიკას. ჯერ ერთი, რომ ერთ წელიწადში დადგება ამერიკის საშუალო რადიუსის ახალი ბირთვული რაკეტების დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზე განლაგების საკითხი და, მეორე, იმედოვნებენ, რომ ბონის ახალმა მთავრობამ ვაშინგტონის სურვილისამებრ იქნებ შესუსტოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ჰ. კოლი მხარს უჭერს ნატოს სტაბილიზაციას. იგი მას მიაჩნია არა მარტო როგორც სამხედრო, არამედ როგორც „იდეოლოგიური ერთიანობის" ბლოკი.

ჰ. კოლმა უკვე მოასწრო პარიზსა და ბრიუსელში ყოფნა. წინ ლონდონია. მისი ამ მოგზაურობის მიზანია დაადასტუროს „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საიმედო პარტნიორობა". მან განაცხადა, რომ ბონი ასევე „საიმედო" პარტნიორი იქნება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გენშერმა თავის განცხადებაში მიუთითა საგარეო პოლიტიკის მემკვიდრეობითობასა და საბჭოთა კავშირთან არსებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დაცვაზე. თუმცა ამ ურთიერთობის განვითარებას, როგორც ეს ჰ. კოლმა 13 ოქტომბერს ბუნდესტაგში გაკეთებულ სამთავრობო განცხადებაში აღნიშნა, უკავშირებენ მთელ რიგ უსაფუძვლო პირობებს.

რამდენად მტკიცეა ბონის ახლანდელი კოალიცია? უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მდგომარეობა კრიზისულია. ეს პარტია სულ უფრო კარგავს ამომრჩევლებს. მისი ბევრი რიგითი წევრი მხარს არ უჭერს პარტიის ლიდერების (გენშერი, მიშნიკი, ლამბსდორფი) პოლიტიკას.

ამ მხრივ საინტერესოა ჰესენის მხარეში ამასწინანდელი არჩევნების შედეგები. თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ აქ სრული კრახი განიცადა. მან ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტიც კი ვერ შეაგროვა (თუ პარტიამ ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტი ვერ შეაგროვა, იგი პარლამენტში ადგილებს ვერ მიიღებს) და, ამრიგად, ჰესენის მხარის ლანდტაგში მან ადგილები ვერ მიიღო.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებში (იგი დანიშნულია მომავალი წლის 6 მარტს) სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შეიძლება ორიენტაცია „მწვანეებზე" აიღოს. მაგალითად, საარის ოლქში სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ო. ლაფონტენი „მწვანეებთან" კავშირის მომხრეა. არც „მწვანეები" არიან ამის წინააღმდეგი, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან მოითხოვენ, რომ მან დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ამერიკის ახალი ბირთვული რაკეტების განლაგებაზე უარი თქვას და შეაჩეროს დასავლეთ გერმანიაში ბირთვული ენერგეტიკის განვითარება. სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვ. ბრანდტი ამ მოთხოვნების შესრულებაზე უარს ამბობს.

ბონის ახალი მთავრობის წინაშე კვლავ დგას რთული პრობლემები. ჰ. კოლი თავის უახლეს მიზნად თვლის ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილიზაციას, უმუშევრობის ზრდის შეჩერებას, „საერთო სიტუაციის" მოწესრიგებას. რა საშუალებებით და ვის ხარჯზე? თუ ამ პრობლემების გადაჭრას შეეცდებიან მშრომელი მასების ინტერესების, სოციალური საჭიროებისათვის ასიგნებათა შემცირების ხარჯზე, ეს კიდევ უფრო გაამწვავებს პოლიტიკურ კრიზისს. არ შეიძლება ანგარიშში არ გაეწიოს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობაში საპროტესტო მოძრაობის ზრდას ამერიკის ახალი ბირთვული რაკეტების დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე განლაგების წინააღმდეგ, ევროპაში „უბირთვო ზონების" შექმნის მოთხოვნებს, საერთო-სახალხო მოთხოვნებს: „სამუშაო—რაკეტების ნაცვლად!"

**ი. ტაბაღუა,**
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.



თბილისობისწინა მოტივები.

ს. კილაძის ფოტო.

# ათონის ცენტრი 1000 წლისაა

**საქართველოს საზოგადოებრიობა აღნიშნავს ათონის ქართული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დაარსების 1000 წლისთავს. ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად მოეწყობა საიუბილეო სხდომები და სამეცნიერო სესია, რომლებიც გაიმართება თბილისში 19-20 ოქტომბერს.**

**იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე ესაუბრა საქინფორმის კორესპონდენტს:**

— 1000 წლის წინათ, — თქვა მან — საბერძნეთში, ათონის მთაზე დაარსდა ათონის ივერიის მონასტერი. მისი, როგორც ფილოლოგიური ცენტრის ისტორია, ორგანულად შევიდა ჩვენი ხალხის მატიანეში.

ათონის ცენტრი 980-983 წლებში შექმნეს თვალსაჩინო ქართველმა მოღვაწეებმა იოანემ და თორნიკემ და უწოდეს ივერიის (ქართული) მონასტერი. პირველი დღეებიდანვე გაიშალა დიდი სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა, უცხო ენებიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულ ენაზე ითარგმნებოდა უნიკალური ძეგლები. ამ მრავალმხრივ მოღვაწეობას, რომლის მეოხებითაც ქართული ლიტერატურა საზღვარგარეთ გავრცელდა, ხელმძღვანელობდნენ იოანე, მისი შვილი ექვთიმე, გიორგი ათონელი, გიორგი მცირე და ქართული კულტურის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები. მაგალითად, ექვთიმე ათონელმა ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნა „სიბრძნე ბალავარისა", რომელიც შემდეგ ბევრ ევროპულ ენაზე ითარგმნა.

ათონი საქართველოს საზღვრებს გარეთ შექმნილი ერთადერთი სამეცნიერო-კულტურული და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ცენტრი როდია. მაგალითად, 1083 წელს ბიზანტიაში, პეტრიწონის მონასტერთან დაარსდა სემინარია, სადაც მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. პეტრიწონის სკოლის დამაარსებელი იყო სახელგანთქმული ქართველი მხედართმთავარი და გამოჩენილი მოღვაწე გრიგოლ ბაკურიანისძე. სკოლას ჰქონდა თავისი წესდება, რომელიც სწავლა-აღზრდის, მეცნიერული მოღვაწეობის მაღალ დონეს მოწმობს.

19 ოქტომბერს თბილისში გაიმართება ათონის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დაარსების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა, 20 ოქტომბერს — საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მრავალი ცნობილი საბჭოთა მეცნიერი და საზღვარგარეთელი ქართველოლოგი, მათ შორის — პროფესორები ვან ესბროკი (ბელგია), ბერნარ უტიე, ჟან პიერ მაე, ჟაკ ლეფორი, ბერნადეტ მარტინ იზარი (საფრანგეთი), ჯეიმს ნევილ ბერძოლი, ქეთრინ ვივიანი (ამერიკა) (ინგლისი), იულიუს ასფალგი, კარლ ჰორსტ შმიდტი, ვინფრიდ ბოედერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), იან ბრაუნი (პოლონეთი), ჰერტრუდა პეჩი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ლაიოშ ტარდი (უნგრეთი) და სხვები.

ბევრი მათგანი მოხსენებას ქართულ ენაზე წაიკითხავს. მოხსენებებს წაიკითხავენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტიდან ზ. ფონკიჩი, მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის კალინინის უნივერსიტეტის ძველი სამყაროს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი მ. ფრეიდენბერგი, ანდრია რუბლიოვის სახელობის მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები ლ. ევსეევა, ა. სალტიკოვი და სხვები.

ინფორმაცია 82

● შეხვედრა მწერლებთან

**გამოჩენილ** საბჭოთა მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს გიორგი დიმიტრის ძე გულიას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მის რომანებს, მოთხრობებს, წერილებსა და გამოკვლევებს ინტერესით ეცნობიან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ამ დღეებში ცხაკაიას რაიონის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო მზიური აფხაზეთის სახელოვან შვილს.

შეხვედრა გახსნა პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ. მწერლის შემოქმედებაზე ილაპარაკა გაზეთ „კოლხეთის" რედაქტორმა რ. ჯანჯღავამ. სტუმარს მიესალმნენ რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობა, მშრომელები.

დამსწრეთ საინტერესო მოგონებები გაუზიარეს „ლიტერატურნაია გაზეტას" უცხოეთის განყოფილების რედაქტორის მოადგილემ, პროფესორმა ი. ბელიაევმა და ამავე გაზეთის პარიზელმა კორესპონდენტმა ა. საბოვმა.

იმავე დღეს სტუმრები იყვნენ მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში, შეხვდნენ ცხაკაიელ მეხალიჩეებს, დაათვალიერეს სამხატვრო გალერეა და ნოქალაქევის არქეოლოგიური გათხრები.

**მ. ჩაჩავა.**

ყაბახი

## გზა კვარცხლბეკისაკენ ძნელია

**გუშინ** გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ორი კალენდარული მატჩი. ხლმა-ათაში „ყაირათმა" მიიღო კიევის „დინამო". შეხვედრა დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით — 2:1.

მოსკოვში კი ადგილობრივმა „დინამომ" უმასპინძლა თბილისელ თანაკლუბელთა გუნდს.

**ჩვენი** გაზეთის მკითხველებთან ერთად, ანუ იმათთან ერთად, ვინც გუშინ ტელევიზორისა და რადიოს მეოხებით არც თუ სასიამოვნო იხილა და გაიგონა, ე. ი. მაშინ, როცა თბილისის „დინამომ" მოსკოვში თანაკლუბელებთან დამარცხების სიმწარე იგემა და თბილისელთა ქომაგებს გუნება გაგვიფუჭა, ვამბობთ: საყვედური ჩვენს „დინამოს", ასე ულმობლად რომ „გაიბრძოლა" და ვითომც ასეთი საჭირო, აგრე იოლად დათმო „პრესტიჟის ველი!" ველი — ის საბრძოლო მოედანი, სადაც სულ სხვადასხვა პოტენციური შესაძლებლობის ორ კოლექტივს თავისი სიტყვა უნდა ეთქვა. ეს სიტყვა მოსკოვის „დინამომ" თქვა. და მით უფრო სამწუხაროა, რომ შედარებით სუსტი ძლიერს ამარცხებს და ეს „ძლიერი" ჩვენი „დინამოა". იყო მსოფლიო ჩემპიონატი, იყო ევროპული ტურნირი, დარჩა საკავშირო პირველობა... „დინამოს" ხომ მხოლოდ ამ სეზონის ეს ბოლო გზა დარჩა გასავლელი და... ლაბირინთის ამ ერთადერთ სავალს ის გაივლის, ვინც ერევნის „არარატივით" გულდინჯად შეეცდება სიძნელეთა გადალახვას. ხომ ვნახეთ, „არარატმა" რა შეუპოვრად იბრძოლა „სპარტაკის" წინააღმდეგ! თბილისის „დინამომ" ამჯერად ეს მაგალითი არ გაითვალისწინა, არა და მეტი შემართება გვმართებდა. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა? — თბილისის „დინამო" დამარცხდა ანგარიშით 1:2. ვიტიროთ თუ ვიცინოთ? არც ერთი და არც მეორე. ბრძოლა განვაგრძოთ, გზა კვარცხლბეკისაკენ ძნელია და თუ შეუპოვრობას გამოვიჩენთ, თუ ფარ-ხმალს არ დავყრით, არავინ დაგვემდურება!

დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასე არიან განლაგებული:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (მ.) | 27 | 16 | 6 | 5 | 46-26 | 38 |
| „დინ." (თბ) | 28 | 15 | 6 | 7 | 47-37 | 36 |
| „სპარტაკი" | 28 | 14 | 7 | 7 | 47-25 | 35 |
| „დინ." (კ) | 27 | 13 | 9 | 5 | 43-18 | 35 |
| „არარატი" | 30 | 13 | 9 | 8 | 41-40 | 35 |
| „ფახთაკ." | 29 | 11 | 9 | 9 | 38-34 | 31 |
| „ზენიტი" | 29 | 11 | 8 | 10 | 38-35 | 30 |
| „მეტალის." | 30 | 10 | 10 | 10 | 30-29 | 30 |
| „ჩერნომ." | 29 | 9 | 11 | 9 | 25-26 | 28 |
| „დნეპრი" | 30 | 9 | 11 | 10 | 31-36 | 28 |
| „დინ." (მ) | 29 | 11 | 5 | 13 | 35-40 | 27 |
| „ტორპ." (მ) | 28 | 10 | 7 | 11 | 32-30 | 27 |
| ცსკა | 29 | 8 | 9 | 12 | 35-42 | 25 |
| „ტორპ." (ქ) | 28 | 8 | 7 | 13 | 34-41 | 23 |
| „ნეფთჩი" | 28 | 9 | 4 | 15 | 35-54 | 22 |
| „ყუბანი" | 28 | 7 | 8 | 13 | 32-42 | 22 |
| „შახტ." | 28 | 7 | 7 | 14 | 33-49 | 21 |
| „ყაირათი" | 29 | 5 | 9 | 15 | 29-47 | 19 |

დღეს ერთადერთი მატჩია გასამართავი. ქუთაისის „ტორპედო" ხვდება ჩემპიონატის ლიდერს — მინსკის „დინამოს".

**ჯ. ენუქიძე.**

# მოკლედ

**არგენტინის** დედაქალაქ ბუენოს-აირესში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა სპორტსმენებმა ფინალური მატჩი მოუგეს ბრაზილიელებს ანგარიშით 3:0 და ოქროს მედლებს დაეუფლნენ. ბრინჯაოს მედლები მიიღეს არგენტინელებმა, რომლებმაც ამ ჯილდოებისათვის ბრძოლაში დაამარცხეს იაპონელები — 3:0.

**ჰოლანდიის** ქალაქ ტილბურგში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო, მეთერთმეტე ტურის წინ 7 ქულით ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი.

ინფორმაცია 82

● მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ტყიბულში

**ტყიბული. (საქ. კორ.).** ქალაქის მშრომელებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს — საზეიმოდ გაიხსნა ახალი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ორსართულიანი შენობის ზემო სართულის ექვს განყოფილებაში გამოფენილია ქალაქის ისტორიულ-რევოლუციური წარსულისა და თანამედროვე ყოფის ამსახველი შვიდი ათასამდე ექსპონატი (პირველი სართული დათმობილი აქვს ფონდსაცავს, სალექციო დარბაზსა და მუზეუმის პერსონალის სამუშაო ოთახებს).

მუზეუმის ეზოში, ღია ცის ქვეშ მოწყობილია ეთნოგრაფიული კუთხე — მხარისათვის დამახასიათებელი ძველებური ორაივნიანი საცხოვრებელი სახლით, ბელელ-სასიმინდეთი, მარნით, ქვის წყაროთი და სხვა ყოფითი ნაგებობებით.

დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე. ქალაქის მშრომელებს ეს ახალი შენაძენი მიულოცა და მომავალში მისი გამრავალფეროვნება-გამდიდრება უსურვა ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ცნობილაძემ.

მუზეუმს პირველ დღესვე დიდძალი დამთვალიერებელი ეწვია.

● გაიხსნა სეზონი

**თელავი (საქ. კორ.).** თელავის დრამატულ თეატრში ამ დღეებში გაიხსნა მორიგი, ახალი სეზონი.

თეატრის ახალი შენობის მეორე სეზონი, რომელიც დაიწყო ლიტერატურული კომპოზიციით „გახსენება", საინტერესო იყო იმითაც, რომ კომპოზიციაში მონაწილეობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი მედეა ჯაფარიძე, რომელსაც ღირსეული პარტნიორობა გაუწიეს თელავის თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა ლ. ასლამაზაშვილმა, მ. ბიჩელაშვილმა, ვ. იანტბელიძემ, ზ. კოლელიშვილმა, ზ. ლომიძემ, ნ. ქემაშვილმა, ნ. კურტანიძემ, თ. ასუნაშვილმა.

ერთნაწილიან ლიტერატურულ კომპოზიციაში გამოყენებული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის ლექსები.

● რუსთაველის ბიუსტი სკოლაში

**შუახევის** რუსთაველის სახელობის სკოლის ეზოში ამ დღეებში საზეიმოდ აღიმართა რუსთაველის ბიუსტი. გენიალური პოეტის ბიუსტს საბურველი ჩამოხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ. ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვეს პარტიის შუახევის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ჰაღალიძემ, პედაგოგმა ე. მაღლაკელიძემ, კოლმეურნე ნ. დავითაძემ და სხვებმა.

**გ. ჩხაიძე.**

რედაქტორის მოადგილე **გ. ნაჭყებია.**

ტელევიზია

17 ოქტომბერი

## მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — კონცერტი. 10.30 — „მაღვიძარა". 11.00 — „ვემსახურები საბჭოთა კავშირს". 12.00 — „ჯანმრთელობა" (ლენინგრადიდან). 12.45 — „დილის ფოსტა". 13.15 — „პიონერია". კინოჟურნალი. 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — მუსიკალური კიოსკი. 15.00 — „ცხოვრების საგზური". 15.45 — მხატვრული ფილმი „მას სუხე-ბატორი ჰქვია". 17.05 — კინომოგზაურობის კლუბი. 18.05 — დღეს კვების მრეწველობის მუშაკის დღეა. 18.20 — მუსიკალური პროგრამა კვების მრეწველობის მუშაკის დღისათვის. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმები. 20.40 — მხატვრული ფილმი „ქალაქმა მიიღო". 22.00 — „ვრემია". 22.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.05 — ი. ანდრონიკოვი — „მოგონება დიდ დარბაზზე". ფილმ-კონცერტი. დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად! 9.20 — დოკუმენტური ფილმები. 10.15 — მხატვრული ფილმი. 11.30 — კონცერტი. 13.30 — „მშვენიერი კუბა" კინოპროგრამა. 14.10 — „სტუმრად ზღაპართან. მხატვრული ტელეფილმი „ოქროს აბზინდიანი ფეხსაცმელი". პირველი სერია. 15.30 — „კიდევ ცოტა რამ ბალეტზე". დოკუმენტური ფილმი. 16.30 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 17.00 — „ვიმღეროთ, მეგობრებო!". 18.20 — მულტფილმები. 18.30 — მხატვრული ტელეფილმი. 19.30 — დიდი ოქტომბრის 65 წლისთავისთვის. „ჩვენი ბიოგრაფია". 55-ე ფილმი — „1971 წელი". 20.30 — სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში. ქალები: ბაქოს „ავტომობილისტი" — კიევის „სპარტაკი". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — სსრ კავშირის ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „ყველაფერი დამოკიდებულია ძმაზე".

17 ოქტომბერი

## თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იხარე, ვაზო!". 10.00 — „მოამბე". 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი: სიახლენი, პრობლემები", 11.45 — „ჩვენი ანონსი". 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა ლენინგრადიდან). 12.35 — „ცეროდენას ეკრანი". 13.10 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.40 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი თეატრი". 14.25 — „კინოაფიშა". 14.55 — მულტიპლიკაციური ფილმი. 15.10 — „ვერნისაჟი" — მხატვარ ვალენტინ შერპილოვის ნამუშევრების გამოფენაზე (განმეორებით). 15.40 — „ვესტნიკი". 16.10 — „ილუზიონი". 18.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: „ქუთაისის „ტორპედო" — მინსკის „დინამო". რეპორტაჟი ქუთაისიდან. შესვენების დროს — „მასწავლებელთა ყრილობის შესახვედრად" — „ამაგდარი" (დავით გონდაური). 19.45 — „ზღაპრის გუდა". 20.00 — „მოამბე". 20.30 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.). 23.05 — „ეკრანული სახეები" — მ. ნეელოვა.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09457 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20